# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 30 დეკემბერი, 2010 წელი.
№244 (6610)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ვეტერანები შიმშილობას განაგრძობენ

② 

## სააკაშვილმა მომავალი წელი ქუთაისის წლად გამოაცხადა



## ასე ტკბილად დამიბერდით – მელანქოლიისა და უიმედობის აკომპანემენტით

⑤






## მთავრობისგან ანტისაბჭოთა პროპაგანდით შეშფოთებული და შეურაცხყოფილი ქართველები

⑧

## „საჯოჯოხეთო მოსაკრებლების“ იმედად დარჩენილი ქვეყნის ბიუჯეტი

④

## ამბობენ, ახალ ზელანდიაშიც ② მაგარი ქალები არიანო...

## ცოტა ნამცხვარი, ცოტა კანფეტი, ცოტა კონიაკი და მსოფლიო პოლიტიკოსის პესიმისტური ③ წინასაახალწლო შეფასებები



გულახდილად



## რატომ ხვდება ⑥-⑦ ქართველთა უმრავლესობა ცრემლით ახალ წელს?

ოკეანისგაღმელი თანამემამულის რეპორტაჟი

## საქართველოს მწერალთა კავშირში

**გუშინ** საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა გამგეობის სხდომა, რომელმაც იმსჯელა მწერალთა კავშირის შპს „ეროვნულ მწერლობაში“ შექმნილი მძიმე კონფლიქტური მდგომარეობის შესახებ. გამგეობის წევრებმა (ოცი წევრი) ფარული კენჭისყრით თანამდებობიდან გაათავისუფლეს (17 ხმით) გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორი **ვაჟა ოთარაშვილი**. აქვე შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც, მოწვეულ აუდიტორთან ერთად, შეისწავლის გამომცემლობის საფინანსო-საგამომცემლო მდგომარეობას. ამჟამად, შემოწმების დაწყებამდე, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ შენობა დალუქულია.

შეჯამება

# ამბობენ, ახალ ზელანდიაშიც მაგარი ქალები არიანო...

**დამთავრდა 2010 წელი.**

**დამთავრდა და მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა, რომელსაც რატომღაც „უმცირესობა“ ჰქვია, თქვა: როგორც იქნა, ეს წელიწადიც გადავაგორეთო, ხოლო მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილმა, რომელსაც რატომღაც უმრავლესობა ჰქვია, განაცხადა, ასეთი დრო კიდევ მრავალგზის გვეტარებინოსო.**

**იტყოდნენ, რატომაც არ იტყოდნენ, როცა „უმცირესობისთვის“ საყოველთაო გაძვირებების პარალელურად, ოთხმოცი პორტუგალიელი „ციყვი“, „უმრავლესობის“ ვნებებს აკმაყოფილებდა.**



პრინციპში, ამ მცირე შესავალითაც ადვილად მიხვდებით, თუ როგორი იყო განვლილი 2010 წელი საქართველოსთვის, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, რომ იმ შედეგების მცირე ანალიზი გამეკეთებინა, რომლებიც დაახლოებით ისე ჟღერს, როგორც „შუა ქალაქელი“ ლაშა იტყოდა: რეიტინგი მოიპოვე? მაგარი ხარ. კიო, კიო!“

მაშ ასე, დავიწყოთ პრეზიდენტის პრესსპიკერის მიერ გასული თვეების შემაჯამებელი ანგარიშით.

თურმე ქვეყნის მეთაურის შეფასებით, „2010 წელი დიდი წარმატებების წელი ყოფილა, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკური პროგრესის, სამართალდამცველების მიერ გატარებული სპეცოპერაციების, საკანონმდებლო და საგადასახადო რეფორმების, დემოკრატიის ხარისხის ამაღლების, განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სამშენებლო და ტურიზმის სფეროს პროექტების თვალსაზრისით“.

არა, ამას მე კი არ ვამბობ. ღმერთმა დამიფაროს ასეთი სისულელეებისგან. ეს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ტყეშელაშვილის თანდასწრებით განაცხადა (ისე, ბატონი დავითი ამ დროს იღიმებოდა. ჰო, რა ვიცი, იქნებ...? არა? თქვენც ასე გგონიათ ხომ? კარგი. რაც არის, ეგ არისძ.

მოდით და ჩვენ ეს „დიდი წარმატებების წელი“, მშვიდად, ყოველგვარი „ღიმილის“ გარეშე მიმოვიხილოთ.

საშინაო პოლიტიკა:

ყველაფერი გაძვირდა. იმდერა პლაჩიდო დომინგომ. დაიხურა უფრო მეტი დასაქმების ადგილი, ვიდრე გაიხსნა. ჯეოსტარის „სკანდალი“ „ჩაცხრა“. პოლიციამ განაახლა „ნადირობა“ გამხდარ მოქალაქეებზე. ბათუმში გაიხსნა მოძრავი ქანდაკება. ვეტერანებმა შიმშილობა გამოაცხადეს. ბაღდათის ქუჩას ჰოლბრუკის სახელი მიენიჭა. სააკაშვილმა თვითმფრინავის მართვა ისწავლა. მეთორმეტეკლასელებმა პითაგორას თეორემა არ იციან.

გავაგრძელო? მე მგონი, არ ღირს.

იხ. 4 გვ.

„ნათლობა“

# სააკაშვილმა მომავალი წელი ქუთაისის წლად გამოაცხადა



**2011 წელი საქართველოში ქუთაისის წელი იქნება. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ქუთაისში „თი-ბი-სი“ ბანკის რეგიონალური ოფისის მშენებლობის მონახულებისას განაცხადა.**

— მინდა მოგილოცოთ ეს დღე და ვუთხრა იმათ, ვისაც არაფერი არ სჯეროდა არასდროს, და ვისაც ეგონა, რომ ქუთაისისგან არაფერი არ დადგებოდა. ეს არის საქართველოს არა მხოლოდ ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი, არამედ ძალიან მაგარი, დახვეწილი ევროპული ქალაქი, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, საკუთარ დაბადების დღეზე იგი ქუთაისის ერთ-ერთ კაფეში იჯდა ოჯახთან ერთად, სადაც ისეთი გარემო იყო, რაზეც რამდენიმე წლის წინათ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

— 2011 წელი საქართველოში მთლიანად არის ქუთაისის წელი, იმ გაგებით, რომ ქუთაისში მომავალ წელს დასრულდება პარლამენტის შენობა, მთავრობის ახალი კანცელარიის შენობა, გაიხსნება ახალი საწარმოები, რაც არის ახალი სამუშაო ადგილი, უამრავი დასაქმებული ადამიანი და კარგი პერსპექტივა ახალგაზრდობისთვის, — დასძინა სააკაშვილმა.

მისივე შეფასებით, მაშინ, როდესაც საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებს მხოლოდ ერთი დიდი ქალაქი, დედაქალაქი აქვთ, საქართველოში რამდენიმე ქალაქის განვითარება ერთობლივად მიმდინარეობს, რომლებიც არის ქვეყნის კულტურული, საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც არის დასასვენებლად ბევრი ადგილი.

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## ველოტრეკის ნაცვლად პენსიებს ითხოვენ

**„ქრისტიან-დემოკრატები“ ქუთაისში ველოტრეკის აშენებას აპროტესტებენ.**

**როგორც ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა გიორგი შავგულიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ქალაქის ველოსიპედიზაციისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 9 მილიონ 200 ათასი ლარი გამოიყოფა, რაც მათთვის მიუღებელია.**

— ჩვენ მოვითხოვთ, აღნიშნული თანხა სხვა რამეზე დაიხარჯოს, მაგალითად, პენსიის დანამატი გაიზარდოს და სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლა დაფინანსდეს, — განმარტა „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელმა.



## ვეტერანები შიმშილობას განაგრძობენ

**თბილისში, გმირთა მოედანზე, „საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან“, გრძელდება 1992-93 და 2008 წლების საბრძოლო მოქმედებების მონაწილეთა საპროტესტო აქცია. ვეტერანი მეომრები ხელისუფლებას თავიანთი პრობლემების იგნორირებაში ადანაშაულებენ და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ითხოვენ.**

„ქართული პარტია“ სოლიდარობას უცხადებს აქციის მონაწილეებს და ხელისუფლებისგან მოითხოვს, შეწყვიტოს ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურების მქონე ადამიანების აბუჩად აგდება და იზრუნოს მათთვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნისთვის.

ჯი-ეიჩ-ენი

გილოცავთ!

# „ვრასტანი“ 90 წლისაა

**საქართველოში გამომავალი სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ დაარსების 90 წლისთავს აღნიშნავს. მთელი ამ ხნის განმავლობაში გაზეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც საქართველოში სომეხი ეროვნების მოქალაქეთა ინტეგრაციაში, ისე ორი ერის ცხოვრებაში.**

მრგვალი თარიღი გაზეთს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიულოცა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა სომხურენოვანი გამოცემის კოლექტივის საქმიანობას. **„ისეთი პატარა ქვეყნებისთვის, როგორიც სომხეთი და საქართველოა, საამაყოა მეგობრული კავშირი და „ვრასტანის“ თითქმის საუკუნოვანი არსებობის საიდუმლო, მისი აქტუალურობა სწორედ ამ მეგობრობიდან იღებს სათავეს. თქვენი გაზეთი ხალხთა შორის კეთილმეზობლობის განმტკიცების საპატიო მისიას ყოველთვის ღირსეულად ემსახურებოდა“,** — ნათქვამია მიხეილ სააკაშვილის მიმართვაში.

სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა ასევე აღნიშნა ის როლი, რომელიც „ვრასტანს“ უკავია ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის საქმეში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ორი ხალხის ძმური ურთიერთობების დასტურია „ვრასტანის“ 90-წლიანი ისტორია.

კავკასპრესი

საახალწლოდ...

# ზღაპარი რუსთაველზე...









წინასაახალწლოდ თბილისი საგანგებოდ გალამაზდა — უჩვეულო სანახავია ვარდების მოედანზე ჩამწკრივებული საახალწლო „სოფელი“. აქ გამოფენილი სადღესასწაულო საჩუქრები მნახველის თვალსა და გულს ახარებს. განსაკუთრებით ტურისტებს სიამოვნებთ მოედანზე აღმართული ნაძვის ხის ირგვლივ დათუნიების, ირმების, იხვების ხილვა.

ღამით აქაურობა ნათდება და თეთრ ელფერს იღებს — თითქოს თოვლს დაუფარავსო... ლამაზ ზღაპარში გეგონება თავი...

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◉ კრწანისის რეზიდენციაში

# ექვსი წელიწადი და ერთი პრეზიდენტის მეორე ვადა

## ედუარდ შევარდნაძე კრიტიკულად აფასებს



*ორ დღეში ახალი წელი გათენდება. ტაბლაზე ტკბილი სუფრაა გაშლილი — ცოტა კანფეტი, ცოტა ნამცხვარი, მიწის თხილი და ოთხად გაჭრილი ერთი ხაჭაპური.*

*ერთი ბრტყელი ბოთლი კონიაკი — უკეთესს ვერ ინატრებ, იმდენად სასიამოვნო გამოდგება, როცა დავაჭაშნიკებთ. მასპინძელი სწორედ ამ კონიაკს აძლევს უპირატესობას.*

*მასპინძელი ედუარდ შევარდნაძეა.*

*სანახავად მივედით, მოსანახულებლად, ახალი წლის მისალოცად — ნუგზარ ფოფხაძე, ჟურნალისტიკის მეტრი; აკაკი სვანიძე, სოხუმის თეატრის მსახიობი და ამ სტრიქონების ავტორი.*

*მიგვიპატიჟებს სახელდახელო ტრაპეზზე და ჩამოგვისხამს ჭიქებში „ზემოთ აღნიშნულ“ კონიაკს.*

ნუგზარ ფოფხაძე იტყვის:

— ედუარდ შევარდნაძეს გაუმარჯოს.

— ამისთვის მოხვედით? — ჩაიცინებს შევარდნაძე და კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ გურული და იუმორი განუყოფელი ცნებაა.

— ამისთვის მოვედით, აბა, სხვა ხეირს რას უნდა ველოდოთ? — უპასუხებს ფოფხაძე, რითაც ამტკიცებს, რომ იუმორი არც სხვა კუთხის წარმომადგენლებისთვისაა უცხო ხილი.

ხილი დამავიწყდა! ხილიც იდო მაგიდაზე: ვაშლი, მანდარინი...

კონიაკი, როგორც ვთქვი, მართლაც არაჩვეულებრივი ბუკეტის მქონე გამოდგა.

იმის დასამტკიცებლად, რომ „მარტო ამისთვის არ მოვსულვართ“, ვეკითხები:

**— ბატონო ედუარდ, როგორ შეაფასეთ ამას წინათ გამართული სახალხო კრება?**

— უარყოფითად. (პაუზაძ უიმედოდ.

— ერთ ჩვენს საერთო მეგობარს ჰკითხეს, რა დამოკიდებულება გაქვთ ამ კრებისადმიო და იმან — რომელ კრებაზე ლაპარაკობთ, წარმოდგენა არ მაქვსო.

(იცინისძ.

— რაც მეტს ჩაატარებენ ასეთ ღონისძიებებს, უკეთესი იქნება, — ამბობს ნუგზარ ფოფხაძე, — თორემ ამ ერთს ხელისუფლების მხრიდან სრული იგნორირება მოჰყვა.

**— ვითომ დამარცხდა ოპოზიციურობა საქართველოში?**

— პირველი გამოსვლა რომ ჩააფლავეს, სამებაში რომ წავიდნენ, იქ რა უნდოდათ? უნდა მისულიყვნენ სააკაშვილთან, თუ რამე სათხოვნელი ჰქონდათ ან მოთხოვნა.

**— გაყიდული იყო სიტუაცია?**

— როგორც ამბობენ.

**— როგორც ამბობენ, ოპოზიციას პანაშვიდი გადაუხადეს?**

— დაახლოებით ეგრეა. დაახლოებით.

**ამ დროს ათენიდან თედო ჯაფარიძე რეკავს. ერთ დროს ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი და სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივანი, სააკაშვილის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრი, ამჟამად შავი ზღვის აუზის ქვეყნების პრობლემების სტრატეგიული კვლევების ცენტრის თანადირექტორი. ნუგზარ ფოფხაძე უპასუხებს და მობილურ ტელეფონს ედუარდ შევარდნაძეს გადასცემს.**

**პაუზა:**

**— გმადლობთ, მე კარგად ვარ, — ჩანს, თედომ ჰკითხა, როგორ ხართ, და ისევ იუმორი, რომელშიც, როგორც ყოველთვის, სიმართლის მარცვალია, — შენთან სალაპარაკოდ ნუგზარმა უნდა დამპატიჟოს?**

**იუმორის ერთი თვისება ის არის, რომ ჯაჭვურ რეაქციასავით ვრცელდება ხოლმე.**

— საქართველოში იყო დრო, — იხსენებს ნუგზარ ფოფხაძე, — როცა შევარდნაძეს, მგელაძესა და ფოფხაძეს, როგორც რუსეთის აგენტებს, ისე გვახსენებდნენ, ზოგჯერ გვარების თანამიმდევრობა ნაწილობრივ იცვლებოდა, მაგრამ შევარდნაძე ყოველთვის პირველ ადგილზე იყო. და ერთხელ მესმის, რომ პირველად ჩემი გვარი დაასახელეს, შემდეგ მგელაძე და მხოლოდ მესამედ — შევარდნაძე.

ვურეკავ ბატონ ედუარდს და ვეკითხები: — როგორ ჩააწყვეთ ეს საქმე, ბატონო ედუარდ?

პასუხად მესმის:

— მე კი არა, შენ ჩაგიწყვია, ნუგზარ, პირველ ადგილზე ხარო...

ამას სხვა მოჰყვა, კერძოდ, ნატოს სამიტზე, ლისაბონში, საქართველოს დელეგაციის წევრების შესახებ გავრცელებული სკანდალურ-სექსუალური თავის მოჭრა და შერცხვენა, რაც 80 მეძავის დაქირავებასა და სასტუმროში შეყვანასთან იყო დაკავშირებული.

**— მართლა თქვით, ბატონო ედუარდ, ამ ფაქტის შესახებ ჟურნალისტთან საუბრისას — ამ ხნისა მოვიყარე და ამდენი მეძავი ერთად არ მინახავსო?**

— ისე მეკითხები, თითქოს „პლეიბოის“ ექსპერტი ვიყო (იცინისძ.

**ის დროა, სახელდახელო ინტერვიუს სერიოზულ თემებზე გადავიდე:**

**— მეექვსე წელიწადი სრულდება, რაც სააკაშვილი ზეობს. თუ გახსენდებათ თქვენი ნათქვამი ამომრჩევლებისთვის: „ეს არის თქვენი მომავალი პრეზიდენტი“?**

— შეცდომის დაშვება ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა (ელიმებაძ.

მაგრამ სიზუსტისთვის გეტყვით — ვაკე-საბურთალოს რაიონის ამომრჩევლებს მე მივმართე შემდეგი სიტყვებით: „ეს (მ.ს.) იქნება თქვენი დეპუტატი!“. ხოლო შემდგომ 2000 წლის აპრილში, ინაუგურაციის ცერემონიის დამთავრებისას ჩამოვედი ტრიბუნიდან და მივესალმე დამსწრე საზოგადოებას, მათ შორის გახარებულ მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც ხელში აყვანილი ჰყავდა თავისი შვილი, პატარა ედუარდი. სწორედ პატარა ედუარდზე მივუთითე და წარმოვთქვი ასეთი ფრაზა: „შესაძლოა, მომავალში, ეს გახდეს თქვენი პრეზიდენტი“. თუ ჩემი არ გჯერათ, გაეცანით იმდროინდელ ქრონიკას.

**— ისიც შეცდომა იყო, თქვენივე შეფასებით, — „ხელისუფლება ხონჩით რომ მიართვით“?**

— არ მიმირთმევია. სწორად ვერ გაიგეს ნათქვამი: პრეზიდენტის სკამს არ ჩავჭიდებივარ, ძალა არ გამომიყენებია ხელისუფლების შესანარჩუნებლად, სისხლისღვრა თავიდან ავიცილე, გადავდექი. ამას ვგულისხმობდი. თორემ ის, რაც 2003 წლის ნოემბერში მოხდა, ტიპური სახელმწიფო გადატრიალება იყო.

**— როგორ შეაფასებთ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდს? ექვსი წელიწადი საკმარისი დროა გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად.**

— „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“ (გულიანად *იცინისძ*... ხალხია საუკეთესო შემფასებელი, გარკვეული ფენა კი არა. პრივილეგირებული ფენისთვის, რომელიც ხელისუფლების ერთგულებით გამოირჩევა და კარგადაცაა მატერიალურად უზრუნველყოფილი, შესანიშნავი დრო დადგა.

ხალხია უკმაყოფილო, დაუსაქმებელია, სოციალურად დაუცველია. ცხოვრება კატასტროფულად ძვირდება და, რაც ყველაზე უარესია, გაუმჯობესების პერსპექტივა არ ჩანს.

ასევე არ ჩანს პერსპექტივა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების. აქ აშკარაა უკუსვლა. ის პოზიციებიც დავკარგეთ, რომლებსაც აფხაზებთან და ოსებთან კონფლიქტის მოგვარების საკითხში მივაღწიეთ 2003 წლამდე. დღეს რუსეთთან ისეთი დაპირისპირებულები ვართ, რომ ძნელია, რაიმე გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც კი.

**— ბათუმი ხომ შენდება და მშვენდება და, როგორც გვპირდებიან, მესტიასთან, ანაკლიასთან ერთად მსოფლიო ტურიზმის ცენტრად მოგვევლინება. და დაიწყება საქართველოს აყვავება.**

— რომელი ჭკუათმყოფელი შეიძლება იყოს წინააღმდეგი აღმშენებლობის? მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი გადახრა და ცალმხრივობა ხელისუფლების არაადეკვატურობის მაჩვენებელია. მაგალითად, რა დროს თეთნულდზე ეკოლოგიური სოფლის მშენებლობაა, როცა დაცარიელდა ქართული სოფლები?!

**— გზები?**

— არ მინდა პარალელის გავლება, მაგრამ 1933 წლის შემდეგ ავტობანების მშენებლობამ, იციან თქვენმა მკითხველებმა, როგორი წყობილების დამკვიდრებას შეუწყო ხელი გერმანიაში. თავისთავად გზის მშენებლობა არაფერს ნიშნავს. გზები ადამიანებისთვის უნდა კეთდებოდეს, ადამიანებს კი ცხოვრების პირობები უნდა შეუქმნა. ეს ხომ ელემენტარულია.

**— ამ გზებზე სულ უფრო და უფრო მეტი მსუბუქი ავტომანქანა მოძრაობს. მაშასადამე, უკეთესად ვცხოვრობთ.**

— მანქანების ნაგავსაყრელად ვართ გადაქცეული. ევროპას, მაგალითად, ახრჩობდა დაძველებული ავტომობილებისგან გათავისუფლების პრობლემა. ახლა ამოისუნთქა. მეორადი ავტომობილების ბაზარი ჩამოყალიბდა საქართველოში. ქუთაისის ავტოქარხნის აღდგენა-რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის საკითხზე არავინ მსჯელობს.

**— ბატონო ედუარდ, თქვენ ადრეც გითქვამთ, რომ ქვეყანაში კორუფციის აღმოსაფხვრელად დრო არ გეყოთ.**

— ახლაც იმავეს ვიტყვი. ყველა წინაპირობა, მათ შორის, სამართლებრივი საფუძვლები, მომზადებული იყო გადამწყვეტი შეტევისთვის, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო ვერ განვახორციელეთ დასახული გეგმები.

**— ამჟამად კორუფცია დამარცხებულია.**

— არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში ამჟამად დამკვიდრებულია ელიტარული კორუფცია, რაც არაერთ უცხოელ თუ ქართველ ექსპერტს აქვთ დადასტურებული.

**— ტერიტორიებდაკარგულ საქართველოსთვის რამდენად აუცილებელია ორი დედაქალაქი?**

— ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ადრეც გამომიხატავს.

**— ორი წლის წინათ, ბატონო ედუარდ, გკითხეთ, როგორი იქნება-მეთქი მომავალი წელი და თქვენ მიპასუხეთ, წლევანდელზე უარესიო. ახლაც შეგეკითხებით: 2011 წელი 2010-ზე უკეთესი იქნება საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის?**

— უკეთესი არ იქნება.

**— უარესი იქნება პოლიტიკურადაც, ეკონომიკურადაც, სოციალურადაც?**

— არავითარი საფუძველი არ არის, ვიფიქროთ, რომ უკეთესი იქნება. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. მაგრამ რაღაც კანონზომიერება ხომ არსებობს. შეიძლება სასწაული მოხდეს. მაგრამ სასწაულები ამ ქვეყანაზე, სამწუხაროდ, არ ხდება.

მაინც ვუსურვოთ ჩვენს ხალხს სიკეთე და ბედნიერება.

**არმაზ სანებლიძე**

---

◉ გამოიცა

## ცოტნეიდელი — IV




**მკითხველმა ახლახან მიიღო ფაზისის საერო აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ-კრებულის „ცოტნეიდელის“ (იდეის ავტორი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი — ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია) მეოთხე ტომი.**

**პოლიგრაფიულად გემოვნებით გაფორმებულ-დასტამბულ ამ ნაშრომში რუბრიკებით — „ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენები“, „სულიერება“, „ფაზისის აკადემია მოქმედებს და ზრუნავს“, „სამეგრელოს, ესე იგი ქართული სულისა და სრულიად საქართველოს ტკივილი“, „სულმნათი, ღვაწლით უკვდავი მამულიშვილები“, „დამსახურებული აღიარება“, „მოკრძალებული იუბილის გამოძახილი“ — დასტამბული მასალებით მკითხველი გაეცნობა მრავალ საინტერესო და საყურადღებო ტექსტობრივ თუ ფოტომასალას. ჟურნალს ერთვის მეგრული სიმღერების კომპაქტდისკიც.**

**„ცოტნეიდელის“ მეოთხე ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით ვრცელ მასალას ახლო მომავალში შემოგთავაზებთ.**

---

◉ ინფორმაცია

## ხანძარი ბარისახოში



**ტყის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ზურაბ ქელეხსაშვილის განცხადებით, ცეცხლი ძირითადად ფოთოლს უკიდია.**

**ამ ეტაპზე სამ ჰექტრამდე მიწის ფართობია დამწვარი. ადგილზე შესაბამისი ტექნიკა უკვე მობილიზებულია. ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ქელეხსაშვილის განმარტებით, ადგილობრივ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება.**

ჯი-ეიჩ-ენი

**შეჯამება**

# ამბობენ, ახალ ზელანდიაშიც მაგარი ქალები არიანო...

(მეორე გვერდიდან)

მაგარი კონტრასტია არა?

საგარეო პოლიტიკა:

ზოგიერთმა დასავლეთელმა პოლიტიკოსმა სიტყვა „ოკუპაცია“ ახსენა. რუსეთის „უფროსობას“ დასავლეთელი პოლიტიკოსები, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია. პორტუგალიელ ქალბატონებს ძალიან მოსწონთ საქართველოს მთავრობის წევრები. რიგით ქართველ მამაკაცებს – რუსი ქალები, ეკონომიკის და სასჯელაღსრულების მინისტრები. ნატოს კარი ღიაა. ჩვენ არ გვიშვებენ. ავღანეთში საბჭოთა კავშირი, ამერიკამ „ჩაანაცვლა“. ქართველები მაინც იღუპებიან.

გავაგრძელო? მე მგონი, არ ღირს.

ეკონომიკური პროგრესი:

არ გეწყინოთ, მაგრამ უნდა გთხოვოთ: ჯიბეში ჩაიყავით ხელი.

რამდენი გაქვთ?

აი ეს არის „ეკონომიკური პროგრესი“!

სამართალდამცავების მიერ გატარებული სპეცოპერაციები:

დაკავებულია კორუფციაში ეჭვმიტანილი 1123 ჩინოვნიკი.

რა ვქნა, „მაღვალაკი“ (იმერული გამოთქმაა და დაახლოებით მაკვარანცხობას ნიშნავსძ, აზროვნება მაქვს და ამიტომ რამდენიმე უპასუხო კითხვას დავსვამ:

1. თუ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, 1123 კორუფციაში ეჭვმიტანილი ჩინოვნიკი „ჰყავს“, მაშინ რას ნიშნავს „ უპრეცედენტო წარმატებები კორუფციასთან ბრძოლაში?“

2. რამდენი კორუმპირებული ჩინოვნიკი არ დაუჭერიათ ჯერ?

3. რამდენ პროცენტს შეადგენენ დაკავებული და „დასაკავებელი“ ჩინოვნიკები, მათი საერთო რაოდენობის ფონზე?

4. რატომ უნდა იღებდნენ 100 ლარის ოდენობის ქრთამს ის ადამიანები, რომლებსაც სულ ცოტა 800 ლარი აქვთ ხელფასი? პლუს პრემიები და სხვა „წახალისებები“ (იქნებ საკადრო პოლიტიკა არ ვარგა?ძ.

5. ვინ შეჭამა ვენახი? ანუ საქართველო?

მაპატიეთ ამ ბოლო, ე.წ. რიტორიკული კითხვისთვის, მაგრამ ეს რომ არ მეთქვა, არ შემეძლო. რაღაც კარგად ჟღერს, არა?

საკანონმდებლო და საგადასახადო რეფორმა:

„გონივრული ეჭვი“. „შეკრებითობის პრინციპი“. საპროცესო გარიგებების დროს, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული თანხების ოდენობა. სასამართლოს მონური მორჩილება, პროკურატურის მიმართ და საზოგადოებისთვის ცნობილი, კიდევ მრავალი „ლაფსუსი“, რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების საკანონმდებლო „მიღწევების“ ძირითადი ბირთვია.

გაუბედურებული ქუჩის მოვაჭრეები. გაკოტრებული მცირე საწარმოები. საბანკო სესხების ყოვლად უაზრო პროცენტები. საბაჟო „მომსახურება“, რომელიც ე.წ. „შმონდერების“ ტანსაცმლის გახდაში და დაწიოკებაში გამოიხატება.

აი ეს არის საკანონმდებლო და საგადასახადო რეფორმის დიდი „წარმატება“.

დემოკრატიის ხარისხის ამაღლება:

ამ პუნქტის მიმართ, მხოლოდ ერთ ფრაზას ვიტყვი.

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

რა, საკმარისი არ არის? (აბა ახლა „სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე“ და რაღაც მსგავს სისულელეებზე ხომ არ ვილაპარაკებ ამ ხნის კაცი?ძ.

ინფრასტრუქტურული, სამშენებლო და ტურიზმის სფეროს პროექტები:

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ სფეროს, აქ მართლაც „უდიდესი წარმატებები“ გვაქვს. ერთ-ერთ წერილში ვწერდი, რომ რეგიონებში ისე განვავითარეთ ინფრასტრუქტურა, რომ ღრუბლიან ამინდში ძროხები მეორე სართულზე თავისი ფეხით ადიანო.

სამშენებლო ბიზნესზე თბილისში მომრავლებული „არაშენდა მშენებლობები“, ვითომ გაყიდული „ცენტრ პოინტის“ მობინადრეებზე დაწესებული დამატებითი გადასახადები და კულტურის სახლების, თეატრების და კინოთეატრების ნაცვლად აგებული პოლიციის შენობები „ღაღადებენ“.



ტურიზმი კი გვაქვს. ხელი ცოტათი სვანეთის სათხილამურო ტრასაზე, უკულმა დამონტაჟებულმა ბოძებმა შეგვიშალა, მაგრამ მერე რა? ტურისტების ნაცვლად, მუშები ჩავიდნენ და სასტუმროები არ გამცდარან (ისე, კიდევ კარგი, რომ ის მუშები ჩავიდნენ, თორემ სვანეთში „ლიჟებზე საკატაოდ“ ჩასვლის შესაძლებობა, ვისა აქვს დღეს? „ლიჟები“ კი არა, წიწიბურა ღირს ხუთი ლარიძ.

აი, ასეთი იყო პრეზიდენტის პრესსპიკერის, ანუ თავად პრეზიდენტის მიერ გასული წლის შედეგების შეჯამების ჩემეული ანალიზი.

ახლა პრემიერ-მინისტრზე გადავიდეთ.

მთავრობის კანცელარიაში მინისტრთა კაბინეტის ბოლო სხდომა გაიმართა (ეჰ, იქნებ „ენამ მიყივლოს“ და ამ მინისტრთა კაბინეტის ბოლო სხდომა იყოს, მაგრამ ვინ მოგვცა ჩვენ მაგის ბედიძ.

სხდომის მთავარი თემა ინფლაცია იყო.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის წევრებს მოსთხოვა, რომ ყველაფერი გააკეთონ, რათა საქართველოს სოციალურად დაუცველმა მოქალაქეებმა ინფლაციის ტვირთი მინიმალურად იგრძნონ.

„ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რაც მთავრობას შეუძლია. ჩვენთვის შესაძლებელია, რომ ინფლაცია შევაჩეროთ და ფასების რეგულაცია შემოვიტანოთ. მთავრობას აქვს პროგრამები, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოსახლეობას ფასების ზრდის პრობლემა გარკვეულწილად შევუმსუბუქოთ“.

ე.ი. ქვეყანაში ინფლაციაა.

ე.ი. ქვეყანაში ფასები იზრდება.

ე.ი. მოსახლეობას უჭირს და პრობლემები აქვს.

მოიცა, მოიცა, ახლა დავიბენი.

აბა პრეზიდენტი რას ამბობდა ამ ცოტა ხნის წინათ?

კაცურად, მითხარით ვის დავუჯერო. პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრ თუ ყველის გამყიდველს?

არადა, ყველის გამყიდველი ნამდვილ ფასს მეუბნება და მეტს არც დაუკლებს.

ამ დროს „სად იყო და სად არა, გაჩნდა ვაშაძე პატარა“.

მანაც წლის მუშაობის შედეგები შეაჯამა.

შეაჯამა და გვითხრა, 2010 წელი დიპლომატიური აქტივობით გამოირჩეოდაო.

თურმე მას 37 ვიზიტი, ხოლო მის მოადგილეებს 67 ვიზიტი გაუმართავთ (აუუ, რას „გულაობენ“ საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემთვის და თქვენთვის ბიუჯეტის შესავსებად „ახეული“ ფულებითძ.

70 ორმხრივი კონსულტაციაც ყოფილა. 23 ქვეყანასთან დაგვიმყარებია დიპლომატიური ურთიერთობა და გაეროს წევრი, 191 ქვეყნიდან, უკვე 145-ს „ვუყვარვართ“. გაისად იმ დანარჩენ 46 ქვეყანასაც მოვივლითო („რითინ მეივლით, რითინ?“ ინფლაციაა. ვინც იხდიდა ფულს ბიუჯეტში, ან გაკოტრდა, ან დაჭერილია და „რაფრა წახვალთ, მაგი მაინტერესებს, თვარა მე ქე დავდივარ გაძვირებული ავტობუსით უბილეთოდ. ქერო დაგხვდებიან იმ თვითმფრინავში ყვითელკურტკიანი კონტროლიორები, რაფერ გაცემთ პასუხს, მაგას ვნახავ მერე“ძ.

კიდევ 67 ხელშეკრულებისთვისაც მოგვიწერია ხელი (მოადგილეების თითო ვიზიტი – თითო ხელშეკრულებაძ.

„ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, სამი ახალი საელჩო გავხსენით და ეს ქვეყნებია: ბრაზილია, პორტუგალია და მექსიკა (პორტუგალიაში ერთი კი არა, ორი უნდა გაგვეხსნაძ. მომავალ წელსაც სამი საელჩო გაიხსნება. ერთი სამხრეთ აფრიკაში, დანარჩენზე კი შემდეგ მოგახსენებთ“, განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

აი ის ორია ერთობ საინტერესო. ისე, ამბობენ ახალ ზელანდიაშიც მაგარი ქალები არიანო. არადა ტაილანდური მასაჟი მთლად მისწრება ყოფილა საერთაშორისო დონეზე დიპლომატიური წარმატებების მისაღწევად.

მოკლედ რომ ვთქვა, არჩევანს იქ გააკეთებენ. ზევით!

მეტს აღარ გადაგღლით და ამ წერილის პირველ, ანუ პოლიტიკურ ნაწილს ასე მშრალად დავამთავრებ.

მეორე ნაწილს, რომელიც მედიას და კულტურის სფეროში „მიღწეულ წარმატებებს“ შეეხება, ხვალ შემოგთავაზებთ.

არადა, რა ვქნა, ყველის ის გამყიდველი, ზემოთ რომ ვახსენე, აშკარად მართალ ფასებს მეუბნება.

გია გაბრიჭიძე

**ხაზინა და მართლმსაჯულება**

# ბიუჯეტი – „საჯოჯოხეთო მოსაკრებლების“ იმედად?!

**„ახალი ინვესტიციების მოზიდვა“, „ბიზნესის საწარმოებლად უაღრესად ხელსაყრელი გარემო“, „წარმატებები კორუფციასთან ბრძოლაში“, „ერთი ფანჯრის პრინციპი“ და მრავალი მსგავსი სხვა თეზისი იმიტომაა ასე დიდად გაპიარებული, ქვეყანა დაარწმუნოს, რომ საქართველოს ეკონომიკა, რომელსაც მსოფლიო კრიზისი თითქოსდა არ შეხებია, თანდათანობით რუსეთის აგრესიამდე არსებულ დონეს აღწევს და, შესაბამისად, სახელმწიფო დეფიციტური ბიუჯეტი, გაისიდან მოყოლებული, აუცილებლად პროფიციტური გახდებაო.**

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ეკონომიკას გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი იმ მარტივი მიზეზით თითქოსდა არ შეეხო, რომ ეს, ასე ვთქვათ, „მოზრდილი“, ანუ წარმატებული ეკონომიკების სენია, ჩვენი ეკონომიკა კი, უკეთეს შემთხვევაში, ჯერ კიდევ ბაგა-ბაღის ასაკისაა. მეორე გარემოება ისაა, რომ 2008 წლის შემდგომ საქართველოს მთავრობას (იგივე ბიუჯეტსძ, მის საბანკო სექტორს, საერთაშორისო მილიარდნახევარზე მეტი დახმარება გაუწიეს და ამ ვალების დაბრუნების დრო, რომ იტყვიან, კარს არის მომდგარი. ნურც 2013 წელს ევროობლიგაციების გამოშვებით აღებული ნახევარი მილიარდის ვალის დაბრუნების აუცილებლობა დაგვავიწყდება, რომლის გახარჯვის კვალს ვერც ექსპერტებმა, ვერც მასმედიის საშუალებებმა ვერა და ვერ მიაკვლიეს. ამ ვალის გასტუმრებას მთავრობა გაისად ევროობლიგაციების მეორე ტალღით აპირებს და ესეც ადრე თუ გვიან მაინც გასასტუმრებელი იქნება. ეკონომიკის უმძიმესი მდგომარეობა კი ხაზინის ჯეროვნად შევსების საშუალებას არა და არ იძლევა.

ამ პირობებში ხელისუფლება „ეკონომიკური ხაფანგიდან“ გამოსვლის გზების ძიებაშია და, როგორც ყველანი თვალნათლივ ვხედავთ, ხაზინის შევსებას ძველი გადასახადების გადიდებისა და ათასგვარი სახეობის ახალი ბეგარის თუ ჯარიმის შემოღებით ცდილობს. ფისკალური მომენტის გამძაფრება სხვადასხვა სახეობის გადასახადის ერთმანეთთან „ვირთაგვების ხელმწიფის“ მსგავსად „კუდების გადაბმით“, სამომხმარებლო ტარიფების გაზრდით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიუღებლობის გამო საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური პრინციპის დარღვევა-მონოპოლიების წარმოშობით, და, რაც ასევე აშკარად თვალში საცემია, ათასგვარი ჯარიმა-გადასახადის შემოღებით დასტურდება. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დანაგვიანება, ავტომანქანებში უსაფრთხოების ღვედების გამოუყენებლობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოგზაურობის საფასურის გაზრდა და, ზოგადად, ამ სფეროს „მოწესრიგების“ მოტივით ისევ სამარშრუტო ტაქსების მძღოლთათვის ფულის გადახდევინება, ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულებიდან როგორიც გნებავთ ცნობის მისაღებად მოსაკრებლის დაწესება, ფასიანი სამედიცინო მომსახურება და ათასი სხვა რამ, ამავეს ადასტურებს.

თქმა არ უნდა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დანაგვიანება ყოვლად დაუშვებელია, უსაფრთხოების ღვედების ხმარება ისევ მგზავრების უსაფრთხოებაზე ზრუნვაა, გადასახადებიც უნდა გადაიხადოს კაცმა, უფასო ჯანდაცვაც ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ ასე ხელაღებით ყველაფრის ერთად გაკეთება, როცა ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობა საარსებო მინიმუმის ჩვენებურ სავალალო ზღვარს მიღმაც კი ვერ ცხოვრობს, მთლად პირდაპირი დანაშაული თუ არა, დიდი უზნეობაა.

ამასთან, შეგახსენებთ, პატივცემულო მკითხველო, რომ გაისად სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად, დაფინანსება იმდენად უმცირდება, რომ ქვეყნის სატუსაღოებში სადღეისოდ მყოფი დაახლოებით 30 ათასზე მეტი პატიმარი, ფაქტობრივად, თავისი პატრონის შესანახი გახდება. ეს სამინისტრო იმიტომ ვახსენე, რომ ცოტა ხნის წინათ თბილისის პრობაციის ბიუროში მისულმა კედელზე გასაოცარი შინაარსის განცხადება წავიკითხე – **თვეში ერთხელ გამოცხადების დაწესების საფასური 400 ლარიაო.**

საქმეში ჩაუხედავმა კაცმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ის პატიმრები, ვისაც სასჯელი პირობითად აქვს დაკისრებული, ვალდებულია, კვირაში ერთხელ, დაწესებულ დღეს, პრობაციის ბიუროში გამოცხადდეს. მსჯავრდებულებზე კონტროლის ეს მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდი, უწინარესად, პრევენციული ხასიათისაა, პრობაციის სამსახურის თანამშრომლებს მსჯავრდებულებზე გარკვეული პროფილაქტიკური ზედამხედველობისა და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, დანაშაულის პრევენციის შესაძლებლობას აძლევს.

**ახლა, როგორც ჩანს, მწირი ბიუჯეტით „გამათრახებული“ სამინისტროს მესვეურებს ამ „ნოვაციის“ გარდა სხვა გამოსავალი არ დარჩათ და... იქნებ ახსნან ამ სამინისტროს მესვეურებმა, რა მოსაზრებით (გნებავთ, ზნეობით) ხელმძღვანელობენ, როცა ამ სახის დადგენილებას იღებენ?**

**ფული მარტო ჯოჯოხეთს კი არ ანათებს, „საჯოჯოხეთო მოსაკრებლების“ ხარჯზე ბიუჯეტსაც ავსებს?**

ოთარ ტურაბელიძე

გლობუსი

# ახალი წლის მიჯნაზე

**ერთი დღეც და თავს, დაგვიკრავს ძველი, 2010 წელი და ახალი შემობრძანდება. დასრულდება XXI საუკუნის პირველი დეკადა და დაიწყება ახალი ათწლედი. განვლილი პერიოდი ჟამთაღმვრიცხველთა ყურადღების და განსჯის საგნად იქცევა. რა მოუტანა მან საქართველოს, რამდენად წარმატებული იყო ისტორიის ეს მონაკვეთი ქვეყნის და მისი მოსახლეობისათვის? — ეს ის მთავარი კითხვებია, რომელებიც სპეციალისტთა საზრიან, ობიექტურ პასუხს მოელის. დეკადის შეფასება პატარა სტატიაში არცთუ იოლი საქმეა. საქართველოსა და მსოფლიოში მომხდარ მოვლენათა უბრალო ჩამონათვალიც კი საკმარისი იქნება სტატიის შესავსებად, ამდენად ათწლეულის განსჯა ისტორიკოსებს მივანდოთ, ჩვენ კი ყურადღება გავამახვილოთ თითქმის განვლილი მიმდინარე წლის ძირითად მომენტებზე.**

2010 წელი როგორც ქვეყნის, ისე მისი მოსახლეობისთვის არც აღმავლობით და არც დადებითი სიურპრიზებით არ გამოირჩეოდა. ისე, როგორც წინა წლებში, ხელისუფლება განიმტკიცებდა საკუთარ ძალაუფლებას. ამ თვალსაზრისით 2010 წელი გაცილებით წარმატებული გამოდგა, ვიდრე წინა. ორწლიანი ძალისხმევის შედეგად ხელისუფლებამ შეძლო 2008 წლის ცხინვალის ომის შედეგად დაკარგული პრესტიჟის აღდგენა. პროცესს ხელი შეუწყო ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებამ.

ნებისმიერი ქვეყნის ადგილობრივი არჩევნები ნაკლებ ყურადღებას იპყრობს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ადგილობრივი არჩევნები, ადგილობრივი მოხმარებისაა და პოლიტიკური თვალსაზრისით ნაკლებად დატვირთული, ვიდრე საპარლამენტო ან საპრეზიდენტო, მაგრამ საქართველოს ადგილობრივმა არჩევნებმა დაარღვია ტრადიცია. საქართველოს ადგილობრივი არჩევნების მთავარი ინტრიგა იყო ის, თუ რამდენად შეძლებდა ნაციონალური პარტია გამარჯვების მოპოვებას 2008 წლის სამარცხვინო ავანტიურის შემდეგ. **ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მოახერხა ძალების მობილიზაცია, ოპოზიციის გადაბირება და არჩევნების თავის სასარგებლოდ დამთავრება. 2010 წლის არჩევნებმა საბოლოოდ გაუფუჭა გუნება-განწყობილება იმათ, ვინც არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას ფიქრობდა. არჩევნებმა მყარი საფუძველი შეუქმნა ნაციონალთა არაერთწლიან მმართველობას. ნაციონალთა გაძლიერების პროცესში ლომის წილი ოპოზიციამ შეიტანა. ხალხის ზურგს უკან ოპოზიცია-ხელისუფლების გარიგება თვალშისაცემი იყო.**

ოპოზიციას თავი არ შეუწუხებია ხელისუფლების კრიტიკით არჩევნების გაყალბების გამო. თითოოროლა ოპოზიციონერის წამოკნავლებას წერტილი ალასანიამ დაუსვა — პირადად ეახლა რა ახლადარჩეულ თბილისის მერს გამარჯვების მისალოცად. „ოპოზიციონერმა“ კარგად შეასრულა ევროპული რიტუალი — დამარცხებულის მიერ, გამარჯვებულისთვის მილოცვა.

ადგილობრივი არჩევნები, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გენერალური რეპეტიცია იყო, როგორც ჩანს, საქართველოს პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა განაწილება ისეთი იქნება, როგორც თბილისის საკრებულოში.

ხელისუფლება-ოპოზიციის გარიგება შედგა — ხანგრძლივი და გრძელვადიანი. ნაციონალები უმრავლესობით იქნებიან წარმოდგენილი მომავალ პარლამენტში, ოპოზიცია — რამდენიმე პარლამენტარით, რაც თავისთავად მისცემს ოპოზიციურ პარტიებს არსებობისთვის საჭირო საბიუჯეტო თანხების მიღების საშუალებას. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით საქართველოს 17 პარტია ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ზოგი, მაგალითად, „ქრისტიან-დემოკრატები“ — 500.000-ზე მეტი ლარით, ზოგიც, ჯონდი ბაღათურიას პარტია „ქართული დასი“ — 86.607 ლარით.

**საზღვარგარეთ უცხო არ არის ოპოზიციური პარტიების დაფინანსება, თუმცა არა ყველგან და არა ამ რაოდენობით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციამ წარმატებით გამოიყენა 2008, 2009 წლების სახალხო გამოსვლები ხელისუფლებასთან სავაჭროდ. შედეგიც ნათელია.**

სააკაშვილმა მოახერხა არა მარტო სახელმწიფო მოხელეების, ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მუშაკთა მაღალი ხელფასებით მოქრთამვა, არამედ ოპოზიციის მაღალი შემოსავლებით არიან უზრუნველყოფილი ტელეკომპანიების მუშაკები, შოუბიზნესის წარმომადგენლები, მარეგულირებელი ორგანიზაციების თანამშრომლები.

სააკაშვილის ხელისუფლების მარადისობისთვის 2010 წელს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა — ახალი კონსტიტუციის მიღება. ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის მთავარი კანონის ისეთი თავბრუდამხვევი ტემპით მიღებას როგორც საქართველო. ამ შემთხვევაშიც ოპოზიცია „მოწოდების“ სიმაღლეზე აღმოჩნდა. მას არ დაურღვევია ხელისუფლებასთან დადებული შეთანხმება, თავი არ მოუკლავს წინააღმდეგობით, პირიქით მხარიც დაუჭირა კონსტიტუციის მიღებას.

ოპოზიციის ინდიფერენტულობამ ხელ-ფეხი გაუხსნა ხელისუფლებას ხალხზე ახალი იერიშის მისატანად. 2010 წელი საქართველოს მოსახლეობას დაამახსოვრდება, როგორც კომუნალური გადასახადების მატების წელი, გარდა ამისა, კვების პროდუქტებზე, ტრანსპორტზე, მომსახურებაზე გაზრდილი ფასების წელი. მესტიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე, მისთვის ჩვეული მონოლოგით გამოსულმა სააკაშვილმა დაუფარავად განაცხადა, რომ მომავალი წელი, ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით, უფრო მძიმე იქნება, ვიდრე მიმდინარე და ამაში მსოფლიო კრიზისი დაადანაშაულა. არადა მსოფლიო კონიუნქტურაზე მეტად საქართველოს მოსახლეობის ყოფის გაუარესებას საკუთარ ხელისუფალთა აღვირახსნილობა იწვევს. ის, რომ ხორცის ფასმა მოიმატა, სააკაშვილის პირადი თავხედობის ბრალია და არა გარეშე კრიზისის. ასეა თითქმის ყველა პროდუქტზე.

ფასების მატებასთან დაკავშირებით ოპოზიცია საგანგაო ზარებს უნდა რეკავდეს, თუმცა ფასების მატება მას — „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირის“ დონეზე აქვს გათვითცნობიერებული. 2010 წელს ოპოზიცია ერთხელაც არ შეკრებილა გაზრდილი ფასების გამო ხელისუფლების მისამართით საპროტესტო წერილის წარსადგენად. ოპოზიციას არ გაუკეთებია კოლექტიური საპროტესტო განცხადება ქვეყანაში მშენებარე საეჭვო პროექტების გამო და ამ საქმეში მილიონობით დოლარის ყრა.

2010 წელს თბილისის ქუჩების თავზე მრავალი რკინის გადასასვლელი ხიდი გაიდო, რომლითაც არავინ სარგებლობს, წამოიჭიმა დაბალი ხარისხის ობელისკები, დაიდგა უგემოვნო ძეგლები, აშენდა შსს მინის სამმართველოები, ქუთაისში დაიწყო პარლამენტის შენობის აგება, როგორც ჩანს, თბილისში პარლამენტის შენობას აუქციონზე გაჰყიდიან, დაიწყო თბილისის რკინიგზის სადგურის გადატანის სამუშაოები და სხვა. მავანთა განცხადებით, ზემოთ ჩამოთვლილ პროექტებში ხელისუფლება საკუთარი ჯიბისათვის დიდი ფულის შოვნას აპირებს. ანალოგიური ვოლუნტარიზმი ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში მთავრობის გადადგომით მთავრდება. ჩვენში არავინ იღებს ხმას.

ოპოზიციას სიტყვაც არ დაუძრავს ეგზოტიკურ ქვეყნებში საქართველოს საელჩოების გახსნის გამო. ცნობილი ფაქტია, რომ თუნდაც ერთი საელჩოს შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდება. ლათინურ ამერიკასა და სხვაგან ახალი საელჩოების გახსნა აშკარად მეტყველებს არა ქამრების შემოჭერაზე, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტის უყაირათო ხარჯვაზე. საქართველოზე ძლიერი ქვეყნებიც კი მხოლოდ მაშინ ხსნიან საელჩოს, როდესაც ამის პოლიტიკურ-ეკონომიკური აუცილებლობაა და არა ნაცნობ-მეგობრების ტკბილი სურვილების ასახდენად. არც ერთ ქვეყანაში, სადაც გაიხსნა საელჩო, საქართველოს ინტერესი არ იკვეთება.

მიმავალი წელი ქართველ ექსპერტთა შეფასებით ქართული დიპლომატიის ტრიუმფის წელი იყო. ბრიუსელში, ლისაბონში, სტრასბურგში ბევრი ითქვა საქართველოზე, თუმცა მას რაიმე საგნობრივი წარმატება არ მოუტანია. სადღაც, რომელიღაც დოკუმენტში, თანაც, არასავალდებულოში სიტყვა „ოკუპაციის“ დაფიქსირება ხელს ვერ შეუწყობს დეოკუპაციას. თუ ამას დავუმატებთ ასტანაში რუსულ დემარშს, დავინახავთ, რომ არც ისე იოლად არის საქმე, როგორც ხელისუფლება ხატავს. ასტანამ უნდა აფიქრებინოს ხელისუფლებას, რომ პრობლემების მოსაგვარებლად შორ-შორს ხეტიალს მეზობლად სიარული სჯობს.

2010 წელი რუსეთის ჭარბი გინებით გამოირჩეოდა. ხელისუფლებამ ამ საქმეში არა მარტო უცხოელი ექსპერტები, ჟურნალისტები და პოლიტოლოგები ჩართო, არამედ მსახიობები, შოუ ბიზნესის წარმომადგენლები. რუსეთის გაშავებისათვის ასეულ-ათასობით დოლარი დახარჯა ხელისუფლებამ, თუმცა საგრძნობ შედეგს ვერ მიაღწია. რუსეთის გამოწვევას ემსახურებოდა თბილისში ჩატარებული ორი საერთაშორისო კონფერენცია ჩერქეზთა გენოციდთან დაკავშირებით. აღნიშნულ ღონისძიებათა გამართვის არსი ძირფესვიანად უპირისპირდება სააკაშვილის სამშვიდობო განცხადებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, აგრეთვე სურვილს რუსეთთან მოლაპარაკების დაწყების თაობაზე.

ისე, როგორც წინა წლებში, მიმავალ წელსაც უხვად იყო ერთმანეთის გამომრიცხავი პოლიტიკური განცხადებები, მითუმეტეს ქმედება. 2010 წელს ფაშიზმზე გამარჯვების 65 წლისთავი საქართველოს ხელისუფლებამ ქუთაისის დიდების მემორიალის აფეთქებით აღნიშნა. არანაკლები წინდაუხედაობა გამოიჩინა გორში სტალინის ძეგლის აღებით. სამწუხაროდ, ორივე შემთხვევაში საზოგადოების რეაქცია ნულის ტოლი იყო. 2010 წელს ხელისუფლებამ შეძლო, წერტილი დაესვა საზოგადოების მასობრივი პროტესტისთვის, როგორც დაშინებით, ისე მოსყიდვით, მან ხალხი მდელოზე მიშვებულ ნახირს დაამსგავსა, რომლის ერთადერთი სურვილი საკუთარი კუჭის ამოყორვაა.

მიმავალმა წელმა დაგვანახვა, რომ დამოუკიდებლობა არ ნიშნავს თავისუფლებას, თავისუფალი ქვეყანა სალი აზროვნების ნაყოფია და არა მორჩილის, მაამებლურის. თავისუფლებას გისურვებთ დამდეგ ახალ წელს!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

ბედის ირონია

# ცხოვრება გავიდა, ცხოვრება გრძელდება

***ტკბილად დამიბერდიო*** *— ასე ილოცება ხოლმე ადამიანი, მაგრამ აგრერიგად სასურველ სიბერეს ყოველთვის თან ახლავს მელანქოლია, სენტიმენტალიზმი, გარდასულ დღეთა მოგონებები, გულჩვილობა და ცრემლები. თუმცა არასოდეს არც ერთი სულიერთაგანი უფუნქციოდ არ ევლინება ქვეყანას, ყველას თავისი ჯვარი აქვს სატარებელი. ამიტომაც, კარგად თუ დავფიქრდებით, ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის არის წუთები, თუნდაც რომელთა გამოც ღირდა სიცოცხლე.*

*ამ სიტყვების გასასამართლებლად წინასაახალწლოდ სპეციალურად ვეწვიეთ ხანდაზმულთა პანსიონატს, რათა თითქმის სიბერეგამწარებულ, ლამის საუკუნეგამოვლილ მოხუცებს ის კარგი დრო გაეხსენებინათ, წარუშლელად რომ დარჩა მათ გონებაში... და, ჩემდა გასაოცრად, იქ ჩემს კოლეგებს გადავაწყდი, იმათ, ვისაც ერთ დროს ჩემსავით ურბენიათ ინტერვიუებზე, უჯღაბნიათ და უხევიათ თეთრი ფურცლები, ათასჯერ გადაუსწორებიათ ერთხელ დაწერილი, უფიქრიათ, უწვალიათ, როცა სხვათა ცხოვრებაზე წერდნენ...*

*აი, მეც ახლა, ამ წუთებში სწორედ მათი ცხოვრებით ვცხოვრობ და თქვენც ჩემთან ერთად გამოგზაურებთ ამ მოხუცების ახალგაზრდობაში. ისინი მხოლოდ ტკბილ მოგონებებზე ყვებიან, ლამაზ დღეებსა და კურიოზებზე, რაც არცთუ უხვად იყო მათ ცხოვრებაში.*

*მაშ ასე, გაიცანით ჩემი ხანდაზმული კოლეგები!*

**88 წლის ნელი გაიდამაკი:** „სამი წლისას უკვე არც დედა მყავდა, არც მამა, ბებია-ბაბუის გაზრდილი ვარ. ბაბუა უკრაინელი იყო (სამხედრო პირიძ, ბებია ქართველი, ქუთაისელი ქალი, მდიდარი ოჯახიშვილი. ქუთაისში სამხედრო კომისარიატთან ახლოს ცხოვრობდა. სწორედ იქ გაუცვნიათ ერთმანეთი. შემდეგ ბებიას ხათრით ბაბუაჩემიც აქ დასახლდა, ჭიათურაში, რკინიგზაზე მუშაობდა. მთელ ჭიათურაში პირველად ჩვენ გვქონდა თანამედროვე აბაზანა. სიმდიდრის მიუხედავად, ომიანობა იყო, მაინც მძიმე ბავშვობა მქონდა. სხვათა შორის, ბებიას ვეხუმრებოდი, კი მაგრამ, ბებია, შენ რუსული არ იცოდი, ბაბუამ ქართული და ერთმანეთს როგორ ესაუბრებოდით-მეთქი, მაგდენი რუსული კი ვიცოდი მეო, — სიცილით მიპასუხებდა. ძალიან მიყვარდა ბებია.

თბილისში უნივერსიტეტში ჩავაბარე, ფილოლოგიურზე. ჩემი მეუღლე — მიხეილ ჩუბინიძე სწორედ აქ გავიცანი, გრიბოედოვის თეატრში მუშაობდა. მერე სოხუმში რომ გამანაწილეს, ის სოხუმის თეატრის მსახიობი იყო. იქ დავქორწინდით. მიშა მთავარ როლებს თამაშობდა „ოტელოში“, „ოიდიპოსში“, „ხევისბერ გოჩაში“..., ხშირად გასტროლებზე დადიოდა მოსკოვში. მეც ლომონოსოვის უნივერსიტეტში ჩავაბარე, დაუსწრებელზე. როცა ჩასვლა მიწევდა, საერთო საცხოვრებელში ჩემთან ოთახში ცხოვრობდა ციმბირელი კარგი გოგო, ზოია სვირცოვა, გაზეთის რედაქციაში მუშაობდა. ერთხელაც მითხრა, წამოდი რედაქციაში, წერილები გააკეთე და ჰონორარით აქაურ ხარჯებს დაფარავო.

იხ. 7 გვ.



## ჩვენებურები ოკეანის გაღმა

# ახალი წელი

**სულაც არ მინდოდა ამეტირებინა. ნეტავი, არ დამერეკა. ნანა ტელეფონში ჯერ მშვიდად მესაუბრება, მერე კი უეცრად ზლუქუნს იწყებს. მერე სიტყვებს მარცვლავს. უკვე აღარაფერი მესმის. უცებ გული ამოუჯდა. ვნანობ. არადა ერთი, უბრალო კითხვა დავუსვი: — როგორ ხვდები ახალ წელს-მეთქი? ათწუთიანი დუმილისა და ჩუმი ცრემლების შემდეგ ისევ ზლუქუნებს. მაგრამ ამჯერად სიტყვებს ვარჩევ. მიყვირის.**

— არ ვხვდები! არ არსებობს ჩემთვის ეს დღესასწაული აგერ უკვე ათი წელია. და არც მე ვარსებობ! მე ვარ მკვდარი. შენ მკვდარს ესაუბრები.

**— ნანა, გთხოვ. ნუ მაშინებ. მოდი, შევწყვიტოთ.**

— ველარაფერს ვგრძნობ. დედა და მამა ისე დავასაფლავე, სკაიპით დავიტირე. მე რომ ამერიკაში არ წამოვსულიყავი, ახლაც მიწისზევით იქნებოდნენ. რომ წამოვედი, ჩემი უფროსი გოგონა 6-ის იყო. უმცროსი — 4-ის. ახლა დროის უკან დატრიალება მინდა! ადამიანად არ ვგრძნობ თავს. ყოველ ახალ წელს მოხუცთან ვხვდები და ტრაკს ვუხოცავ. ტრაკია ჩემი ახალი წელი! ახლა მისი ქმარიც ავად გახდა და იმავე ფასად მის ტრაკსაც ვხოცავ! ორი ტრაკი. თან ვუზერავ ტრაკში, რომ რაიმე არ დაემართოთ. მაგათზეა დამოკიდებული ჩემი შვილების მომავალი.

**— ნანა, დამშვიდდი. მერე დაგირეკავ...**

— წინა წელს, ზუსტად 31 დეკემბერს მეგობარი შევცვალე ორი დღით. მოსავლელი ბებო მშვიდი იყო. ვაჭამე, დავბანე, დავაწვინე. თან ცრემლები მახრჩობდა. თვალწინ ჩემი სახლის ჟანგიანი ლოგინი და დედაჩემის შეკერილი წინსაფარი მედგა. გოზინაყი და საახალწლო ფუსფუსი კი არა! ლოგინი და წინსაფარი. ამ სახლებში კი, სადაც ბოლო 10 წელია მძინავს, არავის ვუყვარდი. ღამის 12 საათამდე, ახალი წლის შემოსვლამდე არავინ გაძლებდა. არავინ მომილოცავდა. ჩემნაირებმა ერთმანეთს ტელეფონით მივულოცეთ. ულიმღამოდ. ჩემდა საუბედუროდ, იმ ღამეს იქ ბებოს ლოთი შვილიც იყო. დათვრა. 50 წლის ქალია. ჰოდა, ზუსტად შუაღამეს, თავზე დამადგა, ამაგდო საწოლიდან და მიბრძანა, რომ სახლისთვის გარშემო შემომევლო. შიშისგან ენა ჩამივარდა. თან ხელში ჯვარი ეჭირა. პირველი, რაც ვიფიქრე, პოლიციაში დამერეკა, მაგრამ შემეშინდა. არალეგალი ვარ. ჩემს ოჯახს პურის ფული არ მოვაკლო-მეთქი. პერანგზე პალტო მოვიხურე, შიშველ ფეხზე ჩექმა ამოვიცვი და გავყევი. წინ წამიძღვანია, უკან მომყვებოდა, ჯვარი თავზე დამადო. რაღაცას ბუტბუტებდა. ცაში ფეერვერკი ატყდა. მე კი სიცივისგან ვკანკალებდი. ამ ოჯახამოგდებულმა სახლის გარშემო ექვსჯერ დამარტყმევინა წრე. არადა რამხელა სახლი ჰქონდათ?! სახლის ერთ მხარეს რაღაც გრძელი მიშენება იყო კიდევ. ყველაფერი ჩახჩახებდა, საახალწლო ნათურებით იყო განათებული. მეხუთე წრეზე ღრიალი ატეხა. "ბელაია გარიაჩკა" ჰქონდა. მერე ავტოფარეხისკენ მიბრძანა წასვლა. მადლობა ღმერთს, მას მხოლოდ ერთხელ დავარტყით წრე. კიდევ კარგი მანქანით გასეირნება რომ არ მოუნდა. გასაღებს ისედაც არავინ აძლევდა, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ მანქანის დანახვაზე კივილი აეტეხა? წელს ისევ მოხუცთან გავატარებ და კიდევ ერთხელ ვინატრებ სიკვდილს.

**— ნანა, მაპატიე, რომ გკითხე. მრავალს დაესწარი.**

— გაპატიე. შენც ასევე. კარგად.

* * *

თამრიკო ღრმად ხვნეშის. კიდევ კარგი ტირილს არ იწყებს.

— შარშანწინ შობა-ახალი წელი მიწისქვეშ გავატარე. სამსახური დავკარგე, წასასვლელი არსად მქონდა. ნიუ-იორკში ერთი ე.წ. ქართული სასტუმრო მიმითითეს. ერთი ადგილი, უფრო სწორედ, ერთი ლეიბი 10 დოლარად ვიქირავე. ცხრა მამაკაცი ცხოვრობდა (6 ქართველი, 2 რუსი და ერთი უზბეკიძ და ერთი ტუალეტი იყო. კედლები რაღაც „დეესპეს" „შირმებით" იყო გატიხრული. საშინელი სინესტე იყო. იმისთვის, რომ სადმე დამერეკა, გარეთ, ყინვაში უნდა გავსულიყავი. შენობაში არ იჭერდა. მხოლოდ ქუჩაში შემეძლო საუბარი. ასე ცუდად არასოდეს ვყოფილვარ. ამიტომ პირველსავე სამსახურს, დაბალანაზღაურებადს მაშინვე დავთანხმდი.

**— რუსებთან?**

— კი, რუს ებრაელებთან. ორი ბავშვის მოვლა მევალებოდა, ოთხისა და ცხრაწლისანების. კვირაში 400 დოლარი. სანამ ამიყვანდნენ, შიდსის ანალიზის პასუხი მომთხოვეს. თავიდან შევთანხმდით, რომ მხოლოდ ბავშვების მოვლა შემეხებოდა. თავიდან ასე მითხრეს, მაგრამ მერე სახლის დალაგებაც დამავალეს, მერე მთელი ოჯახისთვის — კერძების მომზადება. მერე — ორი ძაღლისაც. ხელფასის მომატებას კი არ ფიქრობდნენ. არადა მეშინოდა ამ თემაზე საუბარის წამოწყების. ბევრი გაუგდიათ, როგორც კი მათ ხელფასის მომატება უთხოვიათ. ინტერნეტი არ ჩამართვინეს, ბევრ დროს კომპიუტერთან გაატარებო. ტელეფონზე სასაუბროდ მხოლოდ ღამე მქონდა.

ახალ წელს ჩემი „ბოსები" რესტორანში წავიდნენ, მე ბავშვებთან დავრჩი. ჩემი შვილებივით შემიყვარდნენ და ისინიც სიყვარულით მიპასუხებდნენ, მაგრამ ვიცოდი, რომ დედ-მამას ჩემზე ყველაფერს უყვებოდნენ. ისიც ვიცოდი, რომ სახლში სათვალთვალო ვიდეოკამერა იყო დამონტაჟებილი. ყველაფერი იცოდნენ ჩემზე. როდის დავაცემინე, როდის შევედი ტუალეტში. ამიტომ იმ საღამოსაც არაფერი განსაკუთრებული არ გამიკეთებია. ტუალეტში შევედი. დღისით მეგობრებს ჩუმად სწორედ იქ ველაპარაკებოდი ხოლმე. იმ ღამესაც 5 მეგობარს დავურეკე. მხოლოდ ერთმა შესძლო ყურმილის აღება. მერე ჩემს ოთახში შევედი, ბრაიტონზე ნაყიდი ღვინო „რქაწითელი" გავხსენი, დავისხი, ჩემი სამი შვილის, ერთი შვილიშვილის, ახლო ნათესავების სურათები ლარნაკში ჩადებული ქართული დროშის გარშემო შემოვაწყვე და სურათებს მივუჭახუნე. ორი სადღეგრძელო დავლიე — მშვიდობისა და ჩემების ჯანმრთელობის. უწინ საქართველოში მალე დაბრუნებისას ვსვამდი. ახლა — აღარ. ტყუილად რატომ უნდა დავლიო? მერე დავწექი და მალევე დამეძინა.

**— თამრიკო, ისევ მანდ ხართ?**

— არა. რამდენიმე კვირაში გამაგდეს. უმიზეზოდ. სტუმრები ჰყავდათ სახლში. მე სუფრას ვაწყობდი. ბავშვები, როგორც ყოველთვის, ანცობდნენ. ჩემს დადებულ თეფშებს მაგიდიდან იღებდნენ და იატაკზე დებდნენ. ჩუმად შენიშვნა მივეცი. სტუმარმა ყურადღება მომაქცია და გამომკითხა ვინ ვარ, საიდან. ინგლისური თუ ვიცი? კი-მეთქი, საქართველოში ინგლისურს უნივერსიტეტში ვასწავლიდი-მეთქი. ინგლისურად ცოტა ხანს ვისაუბრეთ. იმ დღეს არაფერი განსაკუთრებული არ შემიმჩნევია. სუფრას მოვემსახურე, დავალაგე და დავწმინდე ყველაფერი, ბავშვები დავაწვინე, სარეცხი დავრეცხე, საშრობში შევდე, კარადებში შევალაგე. გვიან დავწექი. მეორე დღეს, დილაუთენია ქალმა ჩემს ოთახში დააკაკუნა. გამიკვირდა. დილა მშვიდობისაც არ უთქვამს, ისე განმიცხადა, რომ აღარ ვჭირდები. ეს ჩემთვის ელდა იყო. გავშეშდი. რატომ-მეთქი, რა დავაშავე-მეთქი? პირდაპირ სახეში მომახალა: შენს მოვალეობაში არ შედიოდა იმის მოყოლა თუ რა იყავი მანამდე. შენ ჩემი დაცინვა გინდოდა! მშვენივრად იცის ყველამ, რომ მე უმაღლესი განათლება არა მაქვსო. შენ კი შენს განათლებას ხაზი სპეციალურად გაუსვიო. თანაც ბავშვებს შენიშვნა რატომ მიეციო? რა



უფლებითო? დავიბენი... ერთადერთი, ამის თქმა მოვახერხე: არასოდეს აზრადაც არ მომსვლია ვინმეს დამცირება, მით უმეტეს — თქვენი-მეთქი. შვილის ტოლა ხართ-მეთქი. მან კი მითხრა: რაც უფრო მალე წახვალ აქედან, მით უკეთესიო. ყელში რაღაც მომებჯინა, მაგრამ ემოციების დრო არ იყო. ისევ იმ სასტუმროს პატრონს დავურეკე. მოდიო, პრობლემა არააო. ადგილები, ანუ ლეიბები გვაქვსო. ჩავალაგე ჩემი ორი დიდი ჩანთა. უფრო სწორედ რაც ხელში მხვდებოდა, ყველაფერს ერთად ვყრიდი: შამპუნს, წიგნს, ფეხსაცმელებს. ტაქსი გამოვიძახე. ბავშვებს ეძინათ. ვთხოვე, დავხედავ მხოლოდ, არ გავაღვიძებ-მეთქი. არაო. წადიო. ტირილი ამივარდა. მოვიდა მანქანა და წამოვედი.

**— ახლა სადა ხართ?**

— ახლა მოხუცთან ვმუშაობ. იმ სასტუმროში კი რწყილები და ტილები ავიკიდე. ყველამ იცის, რომ ნიუ-იორკში მუნი და რწყილების სიმრავლე იშვიათობას არ წარმოადგენს. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში შემოგიტევენ, თუ ვინმე ქუჩაში დაგდებულ ლეიბს სახლში შემოათრევს. ამ სასტუმროს პატრონი კი იმის მაგივრად, რომ ახალ ლეიბებს ყიდულობდეს, ქუჩაში, სანაგვეზე ნაპოვნი შემოაქვს. ჰოდა, მეც დამესივნენ. ტანსაცმელი გადავყარე. ძვირი დამიჯდა მკურნალობა.

ახლაც მოხუცთან ვმუშაობ. ძალიან მიჭირს. ალცჰეიმერი აქვს ჩემს ბებოს. ძალიან აგრესიულია და ძალა ერჩის. მირტყამს, გრძელი ფრჩხილები აქვს და სულ დაკაწრული ვარ. მაგის გამო მთელი დღე სულ თავწაკრული დავდივარ. რამდენჯერმე თმებში მწვდა, ხელი ვერ გავაშვებინე და თმები დამაგლიჯა. შვილები და გერები ექიმები ჰყავს, მაგრამ დამამშვიდებელ წამალს, რატომღაც, არ აძლევენ. იქნებ მალე გასძვრეს სულიო. ალბათ, ასე ფიქრობენ. ძილიც ცუდი აქვს. ამიტომ ღამე მეც ვერ ვიძინებ. ვიცი, რომ დეკემბერი მთავრდება და 2011 წელი დგება. ტელევიზორი მაგებინებს, რომ „წინ" მივიწევთ. სხვაგვარად დროის განცდა არა მაქვს. კივის ხოლმე ჩემი ბებერი. ახლაც ყმუის რომ მელაპარაკები. გესმის?

**— მესმის.**

— უკვე შევეჩვიე... ახალ წელს მასთან გავატარებ.

* * *

ლელა 8 წელია ამერიკაშია. საქართველოდან ვიცნობ. მხატვარია. ძალიან ხალისიანი და ოპტიმისტი ვინმეა. დიდხანს და დაწვრილებით უყვარს საუბარი. გული უკვე მეთანაღრება. ვკითხო? არადა ეს სევდიანი მინიგამოკითხვა საახალწლო განწყობით მინდა დავასრულო. ვორჭოფობ.

— რა გითხრა, ჩემო კარგო? რით გაგახარო? გიორგობა ნიუ-ჯერსის პოლიციას მივულოცე, — მეუბნება სიცილით.

**— ხუმრობ, ლელა? მიხარია, კარგ ხასიათზე რომ ხარ!**

— არ ვხუმრობ! საქართველო რომ გიორგობას აღნიშნავდა, მე აქ ჯოჯოხეთი გამოვიარე. პოლიცია გამოვიძახე. ბებოს შვილებიდან ერთ-ერთს ძალიან უნდოდა დედის სიკვდილი. საშინელი დაპირისპირება ჰქონდა დანარჩენ და-ძმასთან. მანამდე, როცა შიმშილით კვდებოდა, დედასთან ცხოვრობდა და დედ-მამიშვილები ეხმარებოდნენ, მერე მილიონერს გაჰყვა ცოლად და თავში აუვარდა. ერთხელ დედა ოჯახის სხვა წევრებისგან უკითხავად (მანამდე მოტყუებით ხელი მოაწერინა რაღაც საბუთებზეძ მოხუცებულთა სახლში ჩააბარა. მეორე დღესვე სხვა შვილებმა ბებო უკან დააბრუნეს. ამიტომ დედამისმა რამდენჯერმე შეცვალა ანდერძი. ამ უსინდისოს კი ცნობისმოყვარეობა კლავდა, რას ცვლიდა მისი მშობელი... მე ერთი-ორჯერ სუნამოს კომპლექტი მაჩუქა. გამიკვირდა, რისთვის, რატომ გახდა ასეთი კეთილი? მეც ვუყიდე ქართული ღვინო. თურმე რისთვის: ერთხელ განზე გამიხმო და მომთხოვა, რომ დედამისისთვის რაღაც-რაღაც წამლები არ მიმეცა. ჯერ ყური არ ვათხოვე, მერე რომ ჩამაჯინდა, მის ძმას ვუთხარი. ატყდა ერთი ამბავი. მას მერე შემიძულა. არადა ეგ ხელფასს არ მიხდიდა. მისი ძმა მიხდიდა ჯამაგირს. ჰოდა, 23-ში დრო იხელთა, როცა მისიანები ქალაქგარეთ იყვნენ. სასწრაფო გამოიძახა, დედა გააქანა საავადმყოფოში, იქიდან დამირეკა, რომ ამწუთსვე უნდა დამეტოვებინა სახლი, თორემ გამადეპორტებდა. ის კი არ გაითვალისწინა, რომ სწორედ მის ძმას შეხვდებოდა უსიამოვნება, რადგან არალეგალს 24 საათი ამუშავებდა და მის მომსახურებაზე გადასახადებს არ იხდიდა. მაგრამ მას სწორედ ეს უნდოდა, დედმამიშვილებისთვის ეჩვენებინა, რომ მაგარი ქალია. სახლიდან გავედი, რომ რაღაც მომეგვარებინა. ამ დროს ის ქალბატონი მოსულა, ჩემს უჯრებში უქექია, მთელი ჩემი საბუთები (პასპორტიცძ და დედაჩემის ნაქონი სამკაულები წაუღია. მეგობარი მირეკავს, ვიღაც ქალმა დაგვირეკა, ლელა ჩემს დედას უვლიდაო და უცებ მერე შენი ლანძღვა და თათხვა დაიწყოო. ვკითხე, საიდან გაქვთ ჩვენი ნომერიო? აგერ ლელას საბუთებში ვიქექები და თქვენი ტელეფონი აღმოვაჩინეო. ხომ იცი, ია, რომ მოვკვდე, პასპორტში უახლოესი 6 მეგობრის ტელეფონი მიდევს. მკვდარი რომ მნახონ, იცოდნენ ვის დაურეკონ. შენც ხარ მათ შორის. ხომ მიპატრონებ?

**— გმადლობ ესოდენი ნდობისთვის. დიდად გამახარე.**

— რომ მოვედი, უჯრა ღია დამხვდა. დავურეკე ამ ქალის ძმას. გადაირია. არაფერი ვიცითო, დაგველოდე ხვალამდეო. დაველოდე. საღამოს უცებ კარი იღება და ეს ქურდბაცაცა არ შემოდის სიტყვებით: როგორა ხარ, ძვირფასო. ჰოდა, პირში ვუთხარი, რა ძვირფასიც იყო იგი. მემუქრებოდა, ახლავე თვითმფრინავში ჩაგსვამ და შენს „ფაკინგ ჯორჯიაში" გაგიშვებო. ამაზე მთლად გადავირიე. გამქურდე და კიდევ მე მემუქრები-მეთქი? ავიღე და პოლიციას დავურეკე. არ ელოდა. გაშრა. მაგას ჰგონია, არალეგალს თუ მოკლავ, დააყაჩაღებ ამ ქვეყანაში პასუხი არ მოგეთხოვება. 5 წუთში პოლიციის მანქანა მოქანდა. სამართალდამცავმა „რაპორტი" შეადგინა. ეს ქურდი კი კიოდა და წიოდა. ჩემზე ამბობდა, მაგას „სოუშელი" არა აქვს და ახლავე გააძევეთ ქვეყნიდანო. პოლიციელმა მე ეგეთ საკითხებს არ ვწყვეტო. ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოსო. ამდროს ჩემს მეგობარს დავურეკე, მიშველე, დამეხმარე. აქედან წამიყვანეთ-მეთქი. კიდევ კარგი მისი ქმარი თავისუფალი იყო. მოგაკითხავ, დამელოდეო. პოლიციელმა ჩანთები გარეთ გამატანინა და მკითხა, ხომ არ გირჩევნიათ პოლიციის განყოფილებაში დაელოდოთო? მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, ჩემი მეგობარი მალე მომაკითხავს და აქ, ქუჩაში ლოდინი მირჩევნია-მეთქი. სანამ ჩემს მეგობარს ველოდებოდი, ეს ქურდბაცაცა მილიონერი სახლიდან გამოდიოდა, შუა თითს მიჩვენებდა და „ბოზს" მეძახდა. მერე უცებ თავადაც გამოიძახა პოლიცია. მოვიდნენ, გაუკვირდათ ხელმეორედ რისთვის გამოიძახეს და

უკან გაბრუნდნენ. ეს იყო ჩემი ბიორგობა. სასამართლომდე კი საქმე ვერ მივიტანე. ადვოკატის ფული არა მაქვს. მერე ტელეფონზე და ემაილზე მუქარა დამიწყო. არ გაბედო ჩივილიო, კონგრესმენია ჩემი ქმრის მეგობარი და ინანებო...

**— მთავარია ტრადიციული არ გახდეს ეგ რიტუალი ... — ვეუბნები ლელას.**

— ტრადიციული ისაა, რომ არც ერთი წელი არაა ჩემთვის ახალი. 1999 წელს გავშეშდი. არაფერი დამიხატავს. ხატვის სურვილი მხოლოდ ძილის წინ მაქვს. როცა ვიღვიძებ, თითქოს თავიდან ვიწყებ ცხოვრებას და საღამომდე, ანუ მეორე დილისთვის გადადებული ხატვის სურვილამდე ვფხიზლობ. მერე ისევ ვიძინებ. ასე მგონია, რომ ხელში ფანქარი და ფუნჯი არასოდეს მკავებია. აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ ოჯახს შიმშილით სული არ გასძვრომოდა. ახლა ჩემს ოჯახს და ჩემს სანათესაოს არც სწყურია და არც შია. ისწავლეს, იმკურნალეს, იყიდეს. მე რაც ვისწავლე — დამავიწყდა, სამკურნალო ვარ და ვერ ვმკურნალობ. ძვირია და სამსახურს ვერ გავაცდენ. ჩემი სული კი გავყიდე და იმით ბინა ვიყიდე-გავარემონტე. ასეთი აღებმიცემობა გამომივიდა. ბედნიერ ახალ წელს გისურვებ.

**— ეს წელი მაინც იყოს ახალი, ლელა.**

* * *

გურანდას ვურეკავ. ვიცი, რასაც მეტყვის, მაგრამ მაინც ვურეკავ. ერთი თვის წინათ მიკროინსულტი ჰქონდა. ისიც მოხუცთან მუშაობს. სამზარეულოში უცებ დაეცა და რომ გამოფხიზლდა, თავისსავე პირნაღებ მასაში იყო ამოსვრილი. დადამბლავებული, შეშინებული ბებო ხმამაღლა კი ტიროდა, მაგრამ, აბა, ვინ გაიგონებდა 95 წლის ბებრის პირიდან ამოკვნესილ „გვიშველეს? თანაც სამუშაო საათებში, თანაც ცალკე მდგომ სამსართულიან, უზარმაზარ სახლში? თანაც იმ ოთახიდან, სადაც სახლის ყრუ პატრონის გამო ტელევიზორი მაქსიმალურად ღრიალებდა? როცა გურანდას გონება დაუბრუნდა, დაოთხილი ტელეფონამდე მიბობღდა და 911-ზე დარეკვა მოახერხა. მერე მოხუცის შვილთანაც დარეკა... 10 დღის შემდეგ ისევ დაუბრუნდა თავის სამუშაოს. ბოლომდე არ იმკურნალა. ამ სამსახურის შოვნაში ხომ დიდი ფული გადავიხადე, როგორ დავკარგოო? სად წავიდე მერეო? ყოველთვის ახსოვს, რომ საქართველოში ცხრა ადამიანი ჰყავს სარჩენი. არა, სექტემბრიდან უკვე — 8.

სექტემბერში მეუღლე ავთვისებიანი სიმსივნით გარდაეცვალა. ჰოდა, იმ უბედურის კისერზე გაჩენილი კიბოსთვის შვილებს სხვადასხვა რაკურსით ფოტოები გადაუღიათ და დედამისისთვის გაუგზავნიათ. გურანდაც ზის ღამ-ღამობით და ამ „სლაიდებს“ კომპიუტერში მიშტერებია. თან მოთქვამს. კომპიუტერში ავტომატურად სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანა“ ირთვება. გურანდა ერთი სურათიდან მეორე სურათზე გადადის. ერთხელ ამ კოლაჟის ჩემთვის გამოგზავნას სკაიპითაც კი აპირებდა. ვუთხარი, ჯობს შვილიშვილების სურათები გამომიგზავნო-მეთქი. მაგრამ ისევ თავიდან იწყებს თვალიერებას და ამ დაავადების ფაზებისა და თავისი ემოციების პედანტური წვრილმანებით მოყოლას. ძალიან შეიცვალა. სულ წუწუნებს ან თავისი ბებოს განავლისა და შარდის ფერზე მესაუბრება. არ მომწონს. ვეხვეწები, რომ ექიმთან წავიდეს. თავს მიხედოს. შობა-ახალი წლის დადგომას ვულოცავ.

გურანდა მიყრუებს ჩემს კითხვას და იწყებს იმის მოყოლას, რაც უკვე ყველა მის ნაცნობს ანაბანასავით დაგვაზეპირებინა.

— ჩემმა ბიჭებმა (განსხვავება მათ შორის 1 წელიაძ ცოლები 17 წლის ასაკში მოიყვანეს, თავიანთი თანაკლასელები. ორ ოთახში, აბა, როგორ დავეტეოდით? საღამოობით, ეს ახლადდაქორწინებულები ტახტზე ერთად ისხდნენ და „ტომი და ჯერის“ უყურებდნენ. ვგრძნობდი, რომ ნელნელა ვგიჟდებოდი. ჩემს გარდა სახლში არავინ მუშაობდა. მე და ჩემს ქმარს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ერთმანეთისთვის აღარც დრო და არც ადგილი გვქონდა. გამოსავალი: ან ამერიკა ან საბერძნეთი. საბერძნეთს ვინც ჩალიჩობდა, იმან გადაგვაგდო. ვინც ამერიკას — არა. არც ენა ვიცოდი და არც გზა-კვალი. პირველი თვე ვიღაცის „პადვალში“ ვცხოვრობდი.

**— გურანდა, ვიცი. კარგი, აბა, დაგემშვიდობები ...**



— მერე იქიდან გამომაგდეს და ორი დღე მეტროში ვცხოვრობდი. იქ თბილოდა... 9 წელია ამერიკაში ვარ. მუზეუმში ვერ წავსულვარ. არ მაქვს სურვილი. არ მაინტერესებს. ამერიკაში ჩამოსვლის გაშანსვა 10 ათასი დოლარი დამიჯდა. ვალები ძლივს გავისტუმრე. შვილები — ფულს როდის გამოაგზავნიო, მაჩქარებდნენ. არადა მთელი წელი ვალების გასტუმრებას მოვუნდი... ხომ გახსოვს მოგიყევი, მოხუც კაცს რომ ვუვლიდი. დავმეგობრდით. შვილს კი ეშინოდა, ე, მანდ ანდერძში არ ჩავეწერე. ეს მოხუცი უცებ მოკვდა და მისი შვილი მე ამიშარდა. შენ მამაჩემს ფული მოპარეო, ათი ათასი დოლარიო და თუ გინდა, რომ არ გიჩივლო და გაგადეპორტონო, ეს ფული უნდა დააბრუნოო. გავგიჟდი, გადავირიე! როგორ მოვიპარავდი ფულს, როცა ბაბუას ასდოლარიანიც არ ედო სახლში. ბანკში ჰქონდა ყველაფერი. ისევ დამემუქრა, ისე ვიზამ, რომ ციხეში ამოყოფ თავსო. შემეშინდა, ოჯახი უბინაოდ და შვილებ-შვილიშვილები ულუკმაპუოდ არ დამრჩნენ-მეთქი და... ვიხდიდი... არარსებულ ვალს... თან ხელწერილსაც ვართმევდი. ამაზე, რატომლაც დამთანხმდა. თუმცა მერე მითხრეს, კიდევ 10 ათასი რომ ეთხოვა, მაინც ვერ დავადასტურებდი, რომ ამ ფულს ვაძლევდი.

**— გემშვიდობები, გურანდა. კარგად.**

— მაგათ ვენაცვალე. ჩემს შვილიშვილებს! ლამაზი კაბები აცვიათ. ოთხი მყავს. სამი გოგო და ერთი ბიჭი. ამას წინათ ბოტასები გავუგზავნე. თეთრი. „ნაიკის“ ფირმის. ჩემი იმედები. ბაბუა გარდაეცვალათ. მოგიყევი, ჰო, ჩემს გურამს სიმსივნე რომ დაემართა? სკაიპი ჩართე, გამოგიგზავნო, გაჩვენო, რა დაემართა...

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

## ◉ ბედის ირონია

**(მეხუთე გვერდიდან)**

(მეხუთე გვერდიდან)

მეც „მასკოვსკიე ნოვოსტის“ რედაქციაში მივედი, მაგრამ სარბენი იყო, ხან ერთ ქარხანაზე უნდა გეწერა, ხან მეორეზე... ინფორმაციები გეკეთებინა. ჯერ არაფერი დამეწერა. მოვიდა ზოია, თან ფურცელი მოიტანა, სადაც სტახანოველების გვარი, სახელი და თანამდებობა ეწერა მხოლოდ. არაფერი არ მომდის თავში, ვერაფერს ვწერო, დაწვა და დაიძინა. მივედი, ავიღე ფურცელი და გამოვიგონე სიუჟეტი. როცა გაიღვიძა, ვუთხარი, რაღაც დავჯღაბნე და ნახე-მეთქი. კითხულობს, კითხულობს, აი გამოვიდა, გადასარევიაო. რედაქციაში მიიტანა და დაბეჭდეს ჩემი სახელითა და გვარით. ამის შემდეგ ხშირად ვაკეთებდი წერილებს, აქედანაც ვაგზავნიდი და იბეჭდებოდა. საკმაოდ კარგ ჰონორარებს ვიღებდი...

მახსოვს, სიკო დოლიძე იღებდა ფილმს მეორე მსოფლიო ომზე ომის ბილიკებით, მიშა მთავარ როლს თამაშობდა. გადაღებები გერმანიაში ჰქონდა, თან მეც ვახლდი. თითქმის ყველა ქალაქში ვიყავით, სადაც კი ბრძოლები იყო. როცა მუშაობას მორჩნენ, მიშამ მითხრა, ბარემ აქა ვართ და ევროპის ქვეყნებიც მოვიაროთო. ასეც მოვიქეცით, „ოქროს ქვიშებზეც“ ვიყავით. მერე ბინა მთავრობის სახლში მოგვცეს აფხაზეთში, სადაც ცხოვრობდნენ ადლეიბა, მერე ანქვაბი, დიდი ბინა გვქონდა. მიშას სპექტაკლებს არაერთხელ დასწრებია ედუარდ შევარდნაძე. ჩემი მეუღლე საკავშირო, საქართველოს და აფხაზეთის სახალხო არტისტი იყო. სამწუხაროდ, ომმა ყველაფერი რადიკალურად შეცვალა ჩვენს ცხოვრებაში... ამაზე წიგნი დავწერე „საქართველოს ტრაგედია“.

**93 წლის მედეა ქუთათელაძე:** მამაჩემი ცნობილი გენერალ-პოლკოვნიკი გიორგი ქუთათელაძე გახლდათ, რომელსაც წიგნი მივუძღვენი. სამწუხაროდ, მამაც და დედაც რეპრესიის მსხვერპლი გახდნენ. დედა ამბობდა, მე თუ დამიჭირეს, იცოდეთ, რომ ამ ქვეყანაზე ხალხს ტყუილად იჭერენო...

ობლად დარჩენილი ძმასთან ერთად თბილისში ვცხოვრობდი, სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურზე ვსწავლობდი. შემდეგ „ნორჩ ლენინელში“ ვმუშაობდი ლიტმუშაკად. ომი რომ დაიწყო, გაზეთიც დაიხურა. ყოველთვის მსახიობობაზე ვოცნებობდი, ამიტომ თეატრალურში ჩაბარება გადავწყვიტე. საბუთები მოვაწესრიგე, ეს-ესაა გამოცდაზე უნდა შევიდე და ამ დროს დეპეშა მოაქვთ, სადაც წერია, რომ თუ სოფელში არ დავბრუნდები, სახლ-კარს დავკარგავთ. ჩემს ოცნებაზე უარი ვთქვი და სოფელში დავბრუნდი — ბაღდათის რაიონში, სოფელ როკითში. გვერდით სოფელში, ობჩაში დავიწყე რუსულის მასწავლებლად მუშაობა. რამდენიმე ხანში ჩვენი სოფლის სკოლის დირექტორი ჯარში გაიწვიეს და როკითის სკოლის დირექტორად დამნიშნეს.

ახალგაზრდებს სხვა რა უნდა გვექნა, ჩვენთვის ვერთობოდით. მეც ჩემი ოცნებების განხორციელება აქ ვცადე და სოფელში სპექტაკლების დადგმა დავიწყე, ბევრი შემდეგში გამორჩენილი ადამიანი იყო ჩემი მსახიობი. დავდგით „იავნანამ რა ჰქმნა?!“, „ხანუმა“... მახსოვს ასეთი კურიოზი: „ხანუმა“ დავდგით, რეჟისორიც მე ვიყავი, მსახიობი, გრიმიორიც. ყველა რომ მოვაწესრიგე, ბოლოს მე გამოვეწყვე. კოტეს როლს ჩემი ძმა თამაშობდა. შევედი სცენაზე, გრძელი ცხვირით, ხალით, უკბილო ხანუმა, შემხედა და ტექსტის მაგივრად ხმამაღლა მეუბნება — რას დამსგავსებიხარ, შე სასიკვდილეო... იყო ასეთი ეპიზოდი, კნიაზი რომ ხანუმას ხვდება... კნიაზის როლს გოგიტა ქორიძე (დამსახურებული ექიმი გახლდათძ თამაშობდა. ტექსტი აქვს ისეთი, რომ გაბრაზებულია და ქაქანებს. ამ დროს მაყურებლებიდან მისი ძაღლი „ბახულა“ გამოვარდა, მიახტა გულზე და ატეხა ყეფა — ჩემს პატრონს რაღაც უჭირს და უნდა ვუშველოო. ხალხი სიცილით დაიხოცა...



# ცხოვრება გავიდა, ცხოვრება გრძელდება

ახლაც ზეპირად მახსოვს მაშინდელი ტესტები, ლექსები, პოემები. პატარა ვიყავი, მამამ რომ მითხრა, ვაჟა-ფშაველას „არაგვს“ ისწავლეო. მამა ცოცხალი იყო, როცა ჩვენს ოჯახს ალექსეი ტოლსტოი ესტუმრა. წყალტუბოში ისვენებდა ცოლ-შვილთან ერთად, ტიციან ტაბიძეს გაუცვნია მამაჩემისთვის. მთელი სოფელი ემზადებოდა მწერლის დასახვედრად. გაიშალა სუფრა, უმღერეს რუსული რომანსები, პუშკინის ლექსები. საიდან იციან ამდენი რუსულიო, გაოცებული იყო ტოლსტოი. მეც ლექსი წამაკითხეს. მან მომიხმო თავისთან და მითხრა. ლექსის კითხვის დროს თვალი არასოდეს დახუჭო, ერთი წერტილი აირჩიე, ან ერთი პიროვნება და მას ელაპარაკეო. ეს რჩევა მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა...

**70 წლის მურმან ხაჭაპურიძე:** პროფესიით ჟურნალისტი ვარ, მაგრამ უმეტესი წლები სოციალური დაცვის სფეროში გავატარე. ორი წელიწადია, ამ პანსიონატში ვცხოვრობ. მდგომარეობამ გამოიწვია... აქ იმდენ საინტერესო და გამორჩეულ პიროვნებას უცხოვრია, რომ ყველა მივიძიე, წიგნი გავაკეთე. სამწუხაროდ, დაბეჭდვა არ ეჭირსა, დაკაბადონებულია. აქ გაატარეს სიცოცხლის ბოლო წლები საკავშირო მნიშვნელობის პერსონალურმა პენსიონერებმა, ბევრმა დამსახურებულმა ინჟინერმა, არქიტექტორმა, ხელოვანმა... აქ ცხოვრობდა ლეგენდარული რადიოდიქტორი ქეთევან ლანდია... ჩემი ყველაზე სასიამოვნო მოგონებები იმ წლებს უკავშირდება, როცა აქტიურ ჟურნალისტიკაში ვიყავი, ქუთაისის რედაქციაში ვმუშაობდი. ბევრი მეგობარი მყავდა თქვენს გაზეთში. პირადად ვიცნობდი მაშინდელი „კომუნისტის“ რედაქტორს დავით მჭედლიშვილს, ჟურნალისტ ალექსანდრე ზურაშვილს, სულიერი მეგობრობა მაკავშირებდა ნანა ღვინეფაძესთან, მისი ლექსების კრებულის რეცენზენტი გახლდით. თქვენს გაზეთში მუშაობდა ჩემი სიყრმის მეგობარი თემურ კინწურაშვილი. რედაქციაში რომ შევუვლიდი, თავის სტატიას აუცილებლად წამიკითხავდა. არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ გურამ სამსონაძე, რომელიც უცხოეთის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. უდიდეს პატივს ვცემ ვილენ მარდალეიშვილს, როგორც კარგ ჟურნალისტს, დიდებულად წერს ალეკო ასლანიშვილი, საქართველოს აღიარებული მთარგმნელი გურამ გოგიაშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. გამომცემლობა „სამშობლოს“ მეოთხე სართულზე იყო „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია. იმ დერეფნებში ხშირად დავდიოდი, სიცოცხლე დუღდა. სხვათა შორის, ბევრმა გაზეთმა ვერ გაუძლო გამოწვევებს, „საქართველოს რესპუბლიკა“ კი დღესაც არსებობს.

მახსოვს, ბაქოში სტაჟირებაზე საქართველოდან რვა ჟურნალისტი ვიყავით წასული. ჩვენთან სასტუმროში მოვიდნენ რუსული ჟურნალისტიკის კორიფეები იგორ ჟინიკოვი და საშა სანაკოევი. მათ შეგვაქეს, ქართული ჟურნალისტები ობიექტურები ხართო. იცით, ეს რა დრო იყო, ქარიშხლიანი წლები, ედუარდ შევარდნაძე ახალი დანიშნული იყო ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

ჟურნალისტიკა, ჩემი აზრით, ზრდის ხალხს, ის წინ უსწრებს მოვლენებს, აკვალიანებს საზოგადოებას, იცის, საით უნდა წაიყვანოს ერი. ამიტომაც მას განსაკუთრებით მოეთხოვება ობიექტურობა. ვულოცავ განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი მთელს თქვენს კოლექტივს დამდეგ 2011 წელს. ჩემს ქვეყანასა და ხალხს კი ვუსურვებ, დავით აღმაშენებლის საქართველოს სიძლიერე დაბრუნებოდეს. ჩვენს უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს მხნეობას ვუსურვებ, რადგან ის არის დიდი ივანე მარუშიძის, გიორგი ჭყონდიდელისა და გრიგოლ ხანძთელის სულიერი მემკვიდრე.

იმედით ვუყურებ მომავალს, რადგან ვიცი, რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია. უემოციოდ ქართულ ხალხურ სიმღერას ვერ ვუსმენ, იმდენად დიდი სულია შიგ ჩაქსოვილი, რომ... მეტირება...

* * *

**ის მართლაც ტირის, მეც მეტირება... მაგრამ იმედი უფრო მეტია... რას ვიზამთ, ცხოვრებას უცნაური რელიეფი აქვს. ოღონდ მთავარია, ცრემლების ზღვას ბედნიერების ოკეანე ჭარბობდეს.**

**თეა მოსია**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ქართველები მთავრობის ანტისაბჭოთა პროპაგანდით შეურაცხყოფილი არიან



წამყვანი: საქართველოს გაზეთებში გამოქვეყნდა ანტისაბჭოთა კომიქსების მთელი სერია – ეს არის სააკაშვილის მიერ დაწყებული კამპანიის მორიგი სვლა. მთელს ქვეყანაში უკვე დაინგრა რამდენიმე საბჭოთა ეპოქის ძეგლი, სკოლების მოსწავლეებს კი აიძულებენ უყურონ დოკუმენტურ ფილმებს, სადაც საბჭოთა კავშირს ნაცისტურ გერმანიას ადარებენ. მაგრამ, როგორც რუსეთის ტელეკომპანია „ერტეს“ კორესპონდენტი იტყობინება, ბევრი ქართველი ნოსტალგიით იხსენებს თავის საბჭოთა წარსულს, მიუხედავად მთავრობის მცდელობისა, ამოშალონ მათი ისტორია.

კორესპონდენტი: საბჭოთა ძეგლების დანგრევა, კანონი, რომელიც კრძალავს საბჭოთა სიმბოლოებს, ახლა კიდევ ანტისაბჭოთა დოკუმენტური ფილმი და ადგილობრივი გაზეთების კომიქსების სერია – ეს ყოველივე ანტისაბჭოთა პიარ-კამპანიის ნაწილია, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს.

მაგრამ დროის შერჩევაც, კამპანიის მეთოდებიც ბევრს აეჭვებს მის რეალურ მოტივებში.

ნანა ჯაფარიძე, ისტორიკოსი: ეს არა ანტისაბჭოთა, არამედ ანტირუსული პროპაგანდაა. ხალხი, ვინც ამ კამპანიას ახორციელებს, ცდილობს რუსეთი გაუთანაბროს საბჭოთა კავშირს.

კორესპონდენტი: გავიდა ორი ათეული წელი მას შემდეგ, რაც საქართველომ მიიღო თავისი დამოუკიდებლობა, სულ ორი წელი მას შემდეგ, რაც თბილისი თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს, რითაც მოახდინა რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება.

მიაჩნიათ, რომ დღეს მომხდარ ამბებზე გავლენა იქონია დაძაბულ ურთიერთობათა ისტორიამ და ამასწინანდელმა მოვლენებმა.

ადგილობრივი გაზეთის ამ კომიქსში გამოსახულია საბჭოთა გენერალი, რომელიც შთააგონებს თავის ჯარისკაცებს შეიჭრნენ საქართველოში, რისთვისაც მათ ჰპირდება ღვინოსა და არაყს. ეს ანტისაბჭოთა კამპანიის ნაწილია, იგი არის აგრეთვე ანტირუსული და აიძულებს საზოგადოებრიობას, დაივიწყოს მთავარი.

მაგრამ ბევრი ქართველი, განსაკუთრებით უფროსი თაობიდან, კეთილად იგონებს საბჭოთა ეპოქას.

ანგული ჯიბლაძე საბჭოთა პერიოდში მილიციის ოფიცერი იყო. ის ერთმანეთს ადარებს სიტუაციას მაშინ და ახლა და მიმდინარე მოვლენებს აკრიტიკებს.

ანგული ჯიბლაძე: საბჭოთა პერიოდში კანონიც და წესრიგიც იყო უფრო მეტი, ვიდრე ამჟამადაა. საბჭოთა კავშირში ჩვენ გვქონდა პროფკავშირები, რომლებიც ჩვენს უფლებებს იცავდნენ. დღეს ჩვენზე არავინ ზრუნავს, ჩვენ მოწამლული ვართ მოქმედი ხელისუფლების იდეოლოგიით.

ანგულის მსგავსი ხალხისთვის იმ ძეგლების განადგურება, რომლებიც საბჭოთა ჯარისკაცებს ეძღვნებათ და რომელთაგანაც ბევრი თავად ქართველი იყო – განსაკუთრებით პროვოკაციულია. მათ უწევდათ უსუსურად ემზირათ, თუ როგორ აქცევდნენ მათ მოგონებებს წარსულზე ნანგრევებად.

ანგული ჯიბლაძე: თქვენი აზრით, რატომ დაანგრიეს მათ ეს ძეგლები? მათ სურთ, რომ ჩვენ დავივიწყოთ ჩვენი ისტორია. მაგრამ ჩვენ ის არ უნდა დავივიწყოთ.

საქართველოს მთავრობა ცნობილია თავისი პროვოკაციული პოზიციით რუსეთთან დაკავშირებით, მაგრამ ზოგიერთს ჰგონია, რომ ამ პიარ-კამპანიის სადავო ტექნოლოგიები – ეს უკვე ნამეტანია.

ნანა ჯაფარიძე: უბრალოდ, არ არის საჭირო ისტორიის ასე დამახინჯება. ყველა ეროვნება, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ საბჭოთა კავშირში, თანაბრად დამნაშავეა თავიანთ პრობლემებში, უაზრობაა ყველაფერში ბრალი რუსებს დავდოთ. მიმაჩნია, რომ, როდესაც მთავრობა იყენებს კომიქსებს ამისთვის, გამოიყურება სულელურად.

მართალია, განსაკუთრებული აქცენტი საბჭოთა ეპოქის ნეგატიურ ასპექტებზე შეიძლება საუცხოოდ მიესადაგებოდეს მიმდინარე პოლიტიკურ დღის წესრიგს, მაგრამ საქართველოში ყველას როდი მოსწონს მთავრობის მოქმედებები.

RT

**დედამიწის ზურგზე**



**ალმატში ავარიულად დაჯდა ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი „ჰერკულესი“**

თვითმფრინავი, რომელიც ყირგიზეთის ქალაქ ბიშკეკისკენ მიფრინავდა, იძულებული გახდა დაშვებულიყო დედამიწაზე სამიდან ერთ-ერთი ძრავის გამოთიშვის გამო. ავარიული დაჯდომის შედეგად არავინ დაზარალებულა. ინციდენტის დროს თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდნენ 117 მგზავრი და ეკიპაჟის 14 წევრი. მგზავრებს შორის იყვნენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებიც.

* * *

**ყაზახეთის პარლამენტმა სთხოვა ნაზარბაევს დარჩეს პრეზიდენტად 2020 წლის ბოლომდე**



პარლამენტის ქვედა პალატამ ერთსულოვნად მოიწონა მიმართვა ქვეყნის პრეზიდენტისადმი რესპუბლიკური რეფერენდუმის დანიშვნისა და კონსტიტუციის ცვლილებების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მის საპრეზიდენტო უფლებამოსილებათა გაგრძელებას 2020 წლის დეკემბრამდე. ახლა მიმართვა უნდა მოიწონოს სენატმა.

* * *

**ვენესუელის პრეზიდენტი აშშ-თან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის პროვოცირებას ახდენს: ის ქვეყანაში არ უშვებს ახალ ელჩს**



უგო ჩავესმა განაცხადა, რომ ამერიკის ადმინისტრაციას, რომელიც დაემუქრა „საპასუხო ზომებით“, შეუძლია გამოაგზავნოს ვენესუელის ელჩი და გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობანი, მაგრამ „ეს ჯენტლმენი“ კარაკასში ვერ ჩამოვა. ლარი ბალმერმა თავს ნება მისცა უპატივცემლოდ მოეხსენიებინა ვენესუელა, შეგვახსენებს ამ ქვეყნის პრეზიდენტი.

* * *

**საახალწლო დღესასწაულები – ეს სტრესია, იქიდან ყველაზე ცუდი გამოსავალი კი დივანზე წოლაა**

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფსიქოლოგების ამერიკული ასოციაციის სპეციალისტები. მათ გამოარკვიეს, რომ სტრესისგან იტანჯება ქალების დაახლოებით 44 პროცენტი და კაცების 31 პროცენტი. სტრესის ძირითადი მიზეზებია – დროისა და ფულის უქონლობა საჩუქრების საყიდლად. ქალები ამას მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან.



**გამოხმაურება**

# ერთი საგაზეთო წერილის შესახებ

მისასალმებელია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 22 ოქტომბრის გამოცემაში ადგილი რომ დაეთმო ღვაწლმოსილი პროფესორის, ბ-ნ გრანი ქავთარიას სამეცნიერო წერილს ***„ფარასმანე, არიან-ქართლის (ხორძენეს) მეფე“***, რომელიც ჩვენი ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ დიდ გამოცანას „არიან ქართლს“, ანუ ქართველთა და მათი სახელმწიფოს წარმომავლობის ყველაზე მეტად ბინდით მოსილ საკითხების შემცველ თემას ეხება. ბ-ნ გრანი ქავთარია თავის წერილში ჩვეული ოსტატობით მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას ჩვენი ძველი ისტორიის ამ ყველაზე მეტად დამაინტერესებელი ფურცლებისადმი. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ეს დღეს ხდება, როდესაც ჟურნალ-გაზეთებში და საზოგადოდ მასმედიაში არასათანადო ყურადღება ეთმობა საქართველოს ისტორიის ამსახველ წერილებს, რაც განსაკუთრებით უცნაურია ფაქტობრივად ომის მდგომარეობაში მყოფი და ნაწილობრივ ოკუპირებული ქვეყნისათვის.

შესაძლოა, ქვემოთ გამოთქმული ჩემი მოსაზრება არ არის მართლზომიერი გაზეთში გამოქვეყნებულ წერილთან მიმართებაში, მაგრამ ვფიქრობ მკითხველისათვის საინტერესო იქნებოდა თუნდაც ორიოდე სიტყვით ყოფილიყო გადმოცემული მასში განხილული საკითხების ისტორიოგრაფია; მით უმეტეს რომ ბ-ნი გრანი ქავთარია ავტორია ჩვენი ახალგაზრდობისათვის (და არა მხოლოდ ახალგაზრდობისათვისძ საყვარელი წიგნების: ***„ფარნავაზი“*** (1999ძ და ***„აზონი – პირველი მეფე მცხეთას შინა“*** (2000ძ, რომლებიც ჩვენი ისტორიის ამავე საკითხებისადმია მიძღვნილი და რომლებშიც ეს საკითხები ავტორის ამჟამინდელი ხედვისაგან განსხვავებით სრულიად სხვა რაკურსით არის წარმოდგენილი. თუ აღნიშნულ წერილში ავტორი გვაუწყებს, რომ „*დიდ გადაცდომად არ მიაჩნია იმის მტკიცება, რომ ფარასმანე იყო არა ხორესმიის, არამედ ხორძენეს მეფე*“და რომ „*ნათლად იკვეთება, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ არიან-ქართლი ყოფილა ძველი ქართული მხარე ხორძენე*“, ამასთანავე არაერთგზის შენიშნავს, რომ „*ალექსანდრე მაკედონელის მოკავშირედ აღიარებული ფარასმანე, იყო არა შუა აზიის ხორასმიის, არამედ ხორძენეს, „მოქცევაი ქართლისაის“ არიან-ქართლის მეფე*“, რომ “*არიან-ქართლის მეფე... ალექსანდრეს ეახლა, როგორც ხორძენეს მეფე*“და სხვ., ზემოდასახელებულ მის წიგნებში არაფერი იყო თქმული ე.წ. ხორესმიის (იგივე ხორეზმისძ მეფის თაობაზე და ქართულ სამყაროსთან მისი და მისი ქვეყნის შესაძლო კავშირის შესახებ, თვით იმ გვერდებზეც კი, სადაც ხორძენეზეა საუბარი (იხ., მაგ., ***აზონი***, გვ. 29-30ძ.

არადა სასურველი იქნებოდა ავტორს გაეთვალისწინებინა, რომ წერილის სათაურში ***(„ფარასმანე, არიან-ქართლის (ხორძენეს) მეფე“)*** მოცემული და წერილის დედააზრის ამსახველი ორივე კომპონენტი – ე.წ. ხორასმიელთა მეფის ფარასმანესის დაკავშირება ქართულ სამყაროსთან და ფლავიუს არიანეს „ხორასმის“ გაიგივების შესაძლებლობის დაშვება იბერიულ (ქართულძ მხარესთან „ხორძენესთან“ - არ არის ახალი სამეცნიერო ლიტერატურაში და არცთუ მცირე ხანია, რაც ცნობილია; თუმცა ადრე არასოდეს არ გამოქვეყნებულა ფართო მკითხველისათვის საგაზეთო წერილის სახით და ამდენად ამ საკითხების პოპულარიზაცია გამოქვეყნებული წერილის ავტორის უდავო დამსახურებაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე საკმაო ხანია, რაც შენიშნულია, რომ სახელწოდება „ფარასმანესი“ (იგივე „ფარსმანი“ძ იბერიის (სამეფოძ სამეფო კარისათვის იყო დამახასიათებელი და არა ცენტრალურ აზიაში მცხოვრები ხორასმიელებისათვის (იხ., მაგ., ვ. გოილაძის, გ. ვირთის, გ. ქავთარაძის, სთ. რეპის და სხვათა ნაშრომებიძ. არც ფლავიუს არიანეს ხორასმიელთა მეფე ფარასმანესში ქართული მხარის ხორძენეს მმართველის დანახვის შესაძლებლობა არის ახალი; ამის თაობაზე ჩემი შეხედულება ქართულ ენაზე პირველად 2003 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ წერილში (№ 7-8, გვ. 94-154ძ – ***„იბერიის სამეფოს „არსებობის არსი“ ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით“*** – არის გამოთქმული; სადაც, კერძოდ, შევნიშნავდი, რომ „*ფლავიუს არიანეს ალექსანდრეს ლაშქრობის ტექსტში ხორასმიელთა მეფის, ფარასმანესის, სახელის ქვეშ იბერიელთა მხარის, ხორძენეს, მმართველი უნდა ყოფილიყო ნავარაუდევი*“ და რომ „*ასეთ შემთხვევაში, არიანეს ინფორმაცია და მოქცევა“ ქართლისა“-ს ცნობა არიან-ქართლის მეფის ძის აზოს შესახებ, რომელიც ალექსანდრე დიდის დახმარებით გამეფდა მცხეთაში, ერთიდაიმავე მოვლენის გამოძახილი უნდა ყოფილიყო*“ (იხ. გვ. 106, უფრო ვრცლად ამავე საკითხზე იხ., იქვე, გვ. 105-107ძ.

დასასრულ, მიუხედავად ზემოგამოთქმული შენიშვნებისა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალბათ ძირითადად მაინც საგაზეთო წერილებისათვის დამახასიათებელი შეზღუდული შესაძლებლობებით უნდა აიხსნას, ჩემი მადლიერება მინდა გამოვთქვა ბ-ნ გრანი ქავთარიას და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელთა მიმართ საინტერესო სტატიის გამოქვეყნებისათვის, მით უმეტეს, რომ მასში საკმაოდ ადეკვატურად აისახა და შეიძლება ითქვას, დამატებითი ხორციც კი შეისხა ჩემს მიერ უკანასკნელ ხანებში ჩატარებული კვლევა-ძიების შემადგენელმა ერთმა საკითხმა.

**გიორგი ქავთარაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**
23.12.2010

◎ შემოქმედებითი საღამო

# თექვსმეტი წელი – ქართულ მწერლობაში

**სამეგის ახალგაზრდულ ცენტრში პოეტის, პროზაიკოსის, პუბლიცისტისა და მეცნიერის იკა ქადაგიძის ახალი წიგნის: „უფსკრულნაგები ჰანგების“ წარდგენა გაიმართა.**

საღამოს უძღვებოდა პოეტი სერგი ლომაძე. მისი თქმით, იკა ქადაგიძე16 წელია ქართულ მწერლობაში მოღვაწეობს და ამ ხნის განმავლობაში დაამტკიცა, რომ იგი მებრძოლი ლიტერატორია. ამის გამოხატულებაა მისი პუბლიცისტურ-ესეისტური კრებული: „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ რომელიც სამართლიან და სკანდალურ წიგნადაა მიჩნეული. წიგნში წამოჭრილ პრობლემებზე მიუკერძოებელმა ანალიზმა საზოგადოებას დაანახვა, რომ ქართული მწერლობა ვითარდება და ყალბი სტერეოტიპების წინააღმდეგ გაბედულად ილაშქრებს.

საღამოზე შედგა მუსიკალური პრემიერა, პოეტმა და მუსიკოსმა კახა ბაციკაძემ მწერლის ლექსზე დაწერილი სიმღერა შეასრულა. მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი ბრეგაძემ ყურადღება გაამახვილა იკა ქადაგიძის ისტორიულ პოემაზე. მისი თქმით, სვიმონ მეფეზე შექმნილი პოემა ისტორიულ-დრამატული ჟანრისაა. პოემის სცენაზე გადმოტანა ჩვენი საზოგადოებისთვის აუცილებელია.

მამა მირიან ფალიანმა იკა ქადაგიძის ლექსები მხატვრულად წაიკითხა. პოეტს მიესალმნენ: გიგი ხორნაული, გიორგი ზუხბაია.

კომპოზიტორმა შალვა დავითაშვილმა აღნიშნა, რომ იკას პროფესიონალიზმი მომავალზეა ორიენტირებული. იგი მივიწყებულ ხელოვანებს ქომაგობს. XXI საუკუნეს ასეთი სულიერება სჭირდება. მისი ლექსები კომპოზიტორების შთაგონების წყაროა.


იკა ქადაგიძე

იკა ქადაგიძეს სხვისი დაფასება შეუძლია, რაც იშვიათი ნიჭია.

იკა ქადაგიძის შემოქმედება მარსიანმა გააანალიზა. მისი აზრით, თვალში საცემია იკა ქადაგიძის დამოკიდებულება რითმასთან. ამ თვალსაზრისით პოეტი ლექსის ახლებურ მოდიფიკაციას გვთავაზობს. მის გამორჩეულობას სწორედ ეს უსვამს ხაზს.

მიხეილ თუმანიშვილმა პოეტის შემოქმედება დაწვრილებით მიმოიხილა, წაიკითხა ნაწყვეტები იკა ქადაგიძის ლექსებიდან. მან საზოგადოებას მოუწოდა შეიქმნას კომისია, რომელიც იკა ქადაგიძის ნაწარმოებებს სასკოლო პროგრამაში შეიტანს.

მწერალმა ჯემალ ქირიამ აღნიშნა: „დიდი ხანი არ არის, რაც იკა ქადაგიძეს ვიცნობ, მრავალი პოეტი ქალი მინახავს, ვინც აქტიურად იბრძვის პრივილეგიების, ხელფასებისა და ბინების მოსაპოვებლად. იკა ქადაგიძეს ქართულ მწერლობაში დასარჩენად შალვა მჭედლიშვილის სახელის წარმოსაჩენად თავდაუზოგავი ბრძოლაც ეყოფა.

საღამო გაალამაზეს პოეტებმა: ნუნუ გურალიამ, ლალი აბშილავამ და მიმოზა ცანავამ. მისალმებებს იკა ქადაგიძისადმი მიძღვნილი ლექსები ამშვენებდა.

**თინათინ ბორცვაძე**

◎ ინფორმაცია

## საქართველო ორ მილიონზე მეტმა ტურისტმა მოინახულა

**2010 წლის ბოლოსთვის საქართველოში უცხოელი ტურისტების რაოდენობამ 2 მლნ 54 ათას 382 შეადგინა, რაც 2009 წლის მაჩვენებელთან შედარებით 37 პროცენტითაა გაზრდილი.**

**ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2009 წელს ქვეყანაში 1 მლნ 500 ათას 49 ტურისტი შემოვიდა. 2009 წელს 2008 წელთან შედარებით საქართველოში შემოსული უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 16 პროცენტით იყო გაზრდილი.**

**2010 წელს საქართველოში უცხოელი ვიზიტორებიდან აზერბაიჯანელი ტურისტები ლიდერობენ.**

**ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში აზერბაიჯანიდან 488 ათას 461 ვიზიტორი შემოვიდა.**

**ვიზიტორების მხრივ, მეორე ადგილზეა თურქეთი, საიდანაც ქვეყანაში 485 ათას 136 ტურისტი შემოვიდა. სოლიდური რაოდენობის ტურისტია შემოსული ასევე სომხეთიდან — 479 ათას 337.**

**2010 წელს საქართველოში რუსეთიდან შემოსულია 158 ათას 421 ტურისტი, ხოლო უკრაინიდან 44 ათას 498 ტურისტი.**

**ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, უცხოელი ვიზიტორებისათვის ყველაზე მონახულებად ტურისტულ ადგილად თბილისი ითვლება, რადგანაც სტატისტიკური მონაცემების თანახმად ტურისტების 95 პროცენტმა საქართველოს დედაქალაქი მოინახულა, ხოლო ბათუმს ტურისტების 44 პროცენტი ესტუმრა.**

**მცხეთით დაინტერესდა და მოინახულა ტურისტთა 18 პროცენტმა, ხოლო ქუთაისისა და გორის გაცნობა გადაწყვიტა ტურისტთა 10-10 პროცენტმა.**

**სიღნაღში ჩავიდა ტურისტების 8 პროცენტი, ხოლო ყაზბეგში — 7 პროცენტი.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ წლის რჩეული



***გოგი ქავთარაძეს ვერაფერი ცვლის — ვერც წელთა სიმრავლე (70-ისა გახდა ამ ზაფხულს), ვერც მთელი საქართველოს თეატრების „უფროსობა“ (რამდენიმე თვის წინათ საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს), ვერც აქტიურ პოლიტიკაში ჩართვა (სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერია)... იგი ისეთივე უბრალოა, ისეთივე ხალხური და კეთილღიმილიანი, როგორიც მრავალი წლის წინათ გაგვეცნო მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თუ კინემატოგრაფში...***

***ჰოდა, მხვდება ახლაც, „ცხენი რომ გაჭენდება“, იმხელა კაბინეტში, გულღიად, ალალად...***

# ბუმბერაზების მევალე

— შენ, მგონი, მუშაობდი აქ თავის დროზე, არა?..

**— მაშ, აი, შენ რომ მაგიდასთან ზიხარ (მაპატიე, რომ „შენობით“ მოგმართავ)...**

— აბა, როგორ უნდა მომმართო, კაცო...

**— ჰო.. აი, მანდ ბატონი დოდო ანთაძე იჯდა, მან მიმიღო თეატრალური საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებაში (35 წლის წინანდელი ამბავია)... მერე ბატონი დოდო ალექსიძე იჯდა... ისეთი კეთილგანწყობილი იყო ჩემს მიმართ, რომ კომპარტიის რიგებში შესასვლელად, დახასიათებაც კი მომცა... ასე რომ, დიდი მისია იკისრა, ძმაო...**

— ამათ ვალს რა გადაიხდის (კედელზე გამოფენილ ყოფილი თავმჯდომარეების სურათებს უმზერს), რა თქმა უნდა, საპატიო თანამდებობაა... რომ დამნიშნეს, ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, თეატრალური საზოგადოების პირველი თავმჯდომარეები იყვნენ აკაკი ხორავა, შალვა დადიანი-მეთქი... მირეკავს ჩვენი ღვაწლმოსილი თეატრმცოდნე ბატონი ვასო კიკნაძე და მეუბნება, გახსოვდეს, პირველი თავმჯდომარე თეატრალური საზოგადოებისა ილია ჭავჭავაძე იყო, ხოლო მოადგილე (მაშინ „ამხანაგი“ ერქვა) აკაკი წერეთელიო.

**— (შეხუმრებით) ესე იგი, ილია ჭავჭავაძის ადგილი დაგიჭერია...**

— კაი რა... საერთოდ, ეს თანამდებობა გამორჩეულ პიროვნებებს ეკავათ... მე მათ როგორ შევედრები, მაგრამ, რახან ამირჩიეს, ვცდილობ ნდობა გავამართლო... რა დასამალია და, კომუნისტების დროს გაცილებით ადვილი იყო თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელობა, რადგან სახელმწიფო აფინანსებდა ყველაფერს. ჰქონდათ, იქით კომბინატიო, აქეთ „მეგობრობის თეატრიო“... ერთი სიტყვით, შემოსავალი იყო, რაც ათასგვარ სასარგებლო ღონისძიებებს ხმარდებოდა...

**— ცხადია, დღეს გაცილებით გაძნელდა ყოველივე...**

— მაშ... თუმცა, ვცდილობთ... შევქმენით მმართველთა საბჭო, მოველაპარაკეთ თეატრებს, რომ ყოველი პრემიერის შემოსავალი ჩაირიცხოს მსახიობების საპენსიო ფონდში („ობშიაკში“), იქნებ, მთავრობა იმაზეც დავითანხმოთ, რომ თეატრის მუშაკებმა ხელფასიც მიიღონ და პენსიაც... მოკლედ, რაღაც-რაღაც საშუალებები აუცილებლად უნდა გამოვძებნოთ...

**— ამ დროს, შენი სახით, ხელისუფლებას გვარიანი ოპოზიციონერი ჰყავს...**

— რა ვქნა ახლა... მე მთელი ცხოვრება ოპოზიციონერი ვარ, ოღონდ ისეთი, რომელიც კარგსაც ხედავს და ცუდსაც (სულ მუქი სათვალით ჩვენმა მტერმა იარა)... საქართველოს რამდენიმე ათეულ თეატრში ასეთებიც არიან და ისეთებიც... მე რა ვქნა?.. ალბათ ყველას უნდა „მოვერგო“, ყველასთან საერთო ენა გამოვნახო, ანგარიში გავუწიო, რომ ქართული თეატრის წინსვლა არ შეფერხდეს...

**...მერე** ვიგონებთ ზოგ რამეს, მაგალითად, უკვე თითქმის ლეგენდადქცეულ 40 წლის წინანდელ ამბავს: როგორ შემომხვდა საღამოხანს ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე 29 წლის გოგი ქავთარაძე — ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი და მე, ბათუმში მოსამსახურე საბჭოთა ჯარისკაცი, როგორ დამანაყრა სასადილოში და როგორ ჩამიდო ჯიბეში წითელი ათმანეთიანი დამშვიდობებისას.

დღეს უკვე 70 წლის სახელგანთქმული მსახიობი და რეჟისორი, როგორც ერთხელ ვუწოდე — „მოხეტიალე ნიჭიერება“ (მოვლილი აქვს საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თითქმის ყველა თეატრი) მოკლედ მიყვება თავისი შემოქმედებითი გზის შესახებ:

— მართლა ბედისწერა არ არის? ვიყავი თბილისში — თბილისელი კაცი, „მიშვილა“ ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ, სარეჟისორო ფაკულტეტი დავამთავრე ბატონ მიხეილ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით, დავდგი რუსთაველის თეატრში სადიპლომო სპექტალი „ჩვენ — მისი უდიდებულესობა“ (სერგო ზაქარიაძე თამაშობდა მთავარ როლს), მქონდა სერიოზული გეგმები და, ერთ დღეს ბატონ ოთარ თაქთაქიშვილის ნათქვამმა, თუ წახვალ ბათუმის თეატრში სამუშაოდო, სულ შეცვალა ჩემი ცხოვრება. უარი არ მითქვამს, მაგრამ ცოტა კი შემეშინდა, მაინც გამოუცდელი ვიყავი... ჰოდა, დაიწყო მოგზაურობა: ბათუმი — ქუთაისი — სოხუმი — რუსთავი — თბილისი...

**— აქ, გრიბოედოვის თეატრში, არა?**

— დიახ... „გრიბოედოვში“ ცუდ დროს მომიწია მუშაობა, აღარც ფული, აღარც ყურადღება, მატერიალურად ძალიან უჭირდა ხალხს. მე რა შემეძლო, სად იყო სახსარი (ან ახლა სად არის)?.. ჰოდა, მეც წამოვედი, თუმცა აქ მოღვაწეობა მაინც განსაკუთრებული იყო ჩემთვის, — დავდგი რამდენიმე რუსული კლასიკური ნაწარმოები. მაგალითად, ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“, რომელმაც მწერლის სამშობლოში — ტაგანროგში გამართულ ტრადიციულ ფესტივალზე ერთ-ერთი მთავარი პრიზი დაიმსახურა. სასიამოვნო მოგონებად დამრჩა როსტოვის თეატრში გატარებული დრო, „მეფე ლირისა“ და დოსტოევსკის „ეშმაკების“ დადგმა, მერე ამ დადგმების გამარჯვება სხვადასხვა ფესტივალებზე... რა დამავიწყებს სლოვაკეთში, ბრატისლავის, თეატრში მოღვაწეობის პერიოდს (აქ გავიცანი ვაცლავ ჰაველი), ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონს“ აქ ისეთი წარმატება ჰქონდა, რომ მასპინძელთა თხოვნით ტელესპექტაკლად გადავაკეთე... მეტი რა გითხრა კაცო... დამანებე ახლა თავი!..

**— ახლავე, ახლავე... ეს ამოდენა ტვირთი რომ დაიდე, შემოქმედებაზე არ იმოქმედა?!**

— ვცდილობ, რომ შევუთავსო... მაგალითად ახლახან ქუთაისის თეატრში რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ „დარისპანის გასაჭირი“ დადგა და დარისპანის როლი შევასრულე... როგორც ამბობენ, ურიგო არ გამოვიდა... კიდევ მაქვს რაღაც-რაღაცები გეგმაში, თუ მშვიდობა იქნა... მოვრჩით?..

**— ჯერჯერობით!..**

— აბა, იცოცხლე!.. იპოლიტე ხვიჩიას მოსაგონარ საღამოზე გავრბივარ ქუთაისში და უნდა მაპატიო, ასე რომ გაჩქარებდი...

* * *

პოლიტიკაზე საუბრით აღარ ვაწუხებ, ქართველებმა ერთმანეთს უნდა ვუშველოთო, როგორმე ვისწავლოთ მტერ-მოყვრის გარჩევაო, მჯერა, მომავალი წელი უკეთესი იქნებაო, ვულოცავ საქართველოს, ვულოცავ ჩემს ხალხს დამდეგ ახალ წელს და, ღმერთმა ქნას, ამერიმერს ერთმანეთისა უსიტყვოდ ესმოდესო...

**— ღმერთმა გისმინოს, ჩვენო გოგი!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ტყვიის სროლა

**წლევანდელი სეზონი ქართველმა სპორტსმენებმა ისე ჩაამთავრეს, რომ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს. ამ ფონზე გამორჩეულად დგას ტყვიის სროლაში ოლიმპიური თამაშების სამივე სინჯის მედლის მფლობელი, მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებული და პრიზიორი ნინო სალუქვაძე, რომელმაც წლეულს თავისი კიდევ ერთი მიღწევა გააუმჯობესა — მსოფლიოს სუპერთასი მეცხრედ დაისაკუთრა.**

# მეშვიდე ოლიმპიადისთვის ემზადება




— ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა შარშანდელი შედეგებით მქონდა განაღდებული, **— მითხრა სახელოვანმა ქართველმა ჩუბინმა.** — ასპარეზობას მიუნხენმა უმასპინძლა. სტარტზე უძლიერესებმა მოიყარეს თავი. სპორტული პისტოლეტით პაექრობისას ფინალში მე-4 შედეგით შევედი. პირველ ადგილზე მყოფი ფრანგი სონია დობერვილი 4 ქულით მისწრებდა. საბედნიეროდ, გადამწყვეტ ეტაპზე შევძელი საკუთარი შესაძლებლობების მობილიზება. 205,4 ქულა მოვაგროვე. საბოლოოდ 783,4 ქულით მეცხრედ მოვიპოვე ბროლის გლობუსი. 781,3 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ჩეხი მარია მარუსკოვა, ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. 779,8 ქულით მესამე იყო დობერვილი.

**— მიუნხენში თქვენ მეორე პრიზიც მოიპოვეთ...**

— მსოფლიოს სუპერთასის გათამაშებისას, ტრადიციულად, მეორე დღეს ტყვიის სროლის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა შორის თასი თამაშდება ოლიმპიური სისტემით. ტურნირი შერეულია. ამჯერად 16 საუკეთესო ჩაება ბრძოლაში. ასეთი შეჯიბრება ერთხელ მაქვს მოგებული — 1999 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე. ბედნიერი ვარ, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეორედ ავედი. თანაც ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ოლენა კოსტევიჩის იარაღით გავიმარჯვე. რადგან ჩემი პნევმატური პისტოლეტი თან არ მქონდა. ფინალში 0,1 ქულით რუს მსოფლიოს და ევროპის წლევანდელ ჩემპიონსა და რეკორდსმენს ლეონიდ ეკიმოვს ვაჯობე.

**— სამომავლოდ რას აპირებთ?**

— რადგან ცეცხლის ხაზს დღემდე შემოვრჩი, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ვემზადები. ეს ჩემთვის მე-7 ოლიმპიადა იქნება. გაისად რამდენიმე სალიცენზიო შეჯიბრება გაიმართება, მათ შორის ევროპის ჩემპიონატი იტალიაში. მსოფლიოს თასის ეტაპები სიდნეიში, კორეაში, ამერიკასა და მიუნხენში. ვფიქრობ, საგზურის მოპოვება არ გამიჭირდება.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

## დაფასება



# ქუთათურთა რჩეულნი

**ყოველი წლის მიწურულს ყველა ქალაქი და რაიონი საუკეთესო სპორტსმენთა ათეულს ავლენს. რჩეულები ქუთაისელებმაც დაასახელეს.** 2010 წელს პირველ ნომრად აღიარეს დიდოსტატი ნანა ძაგნიძე, რომელმაც წლეულს ფიდეს ქალთა გრანპრის გათამაშებაში პირველი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავა, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე მეორე იყო, ხოლო მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მესამე ადგილს დასჯერდა. ათეულში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ლაშა გოგიტიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა), მიხეილ ბახტიძე (კრივი), სალომე სირაძე (მძლეოსნობა), ირაკლი ჩხიკვაძე (რაგბი), გიორგი ლომთაძე (ძალოსნობა), ზურაბ საკანდელიძე (კარატე), სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა), ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო).

**ლაშა დიდია**

**სურათზე: ნანა ძაგნიძე.
ვაჟა დანელიას ფოტო.**

## ჭადრაკი

# ქართველები — უცხოეთში

**საფრანგეთი. ბეტიუნში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში ორი ქართველი მონაწილეობს — საქართველოს 2009 წლის ჩემპიონი თორნიკე სანიკიძე და მალხაზ სულაშვილი. ოთხი ტურის შემდეგ სულაშვილმა 3,5 ქულა მოაგროვა, სანიკიძემ კი 2,5 ქულას მოუყარა თავი.**

**სინგაპური.** აზიის ღია ჩემპიონატში ზურაბ აზმაიფარაშვილმა მე-6 ტურში ფილიპინელ რიჩარდ ბიტუნს სძლია და 5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს. ჩვენებურს ნახევარი ქულით ჩამორჩება ფილიპინელი ოლივერ ბარბოსა.

**ლას ვეგასი.** ჩრდილოამერიკულ და საერთაშორისო ტურნირში 133 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის 8 დიდოსტატია. პირველობისთვის იბრძვის თბილისელი გიორგი ყაჭეიშვილი, რომელმაც ზედიზედ სამ მეტოქეს სძლია. ტურნირში ჩვენებურს მეტოქეობას გაუწევენ ცნობილი მოჭადრაკეები — კარუშან აკობიანი, ილია სმირინი, ალექსანდრა კოსტუნიუკი, ირინა კრუში და სხვები.

**სარაგოსა.** ესპანეთის საერთაშორისო ტურნირზე 5 ტური მიილია. მას შემდეგ, რაც ანა მათნაძე რუს დიდოსტატ ოლეგ კორნეევს დაუზავდა, 5 ქულა მოაგროვა და ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება. ამავე ტურნირში მონაწილეობს სოფიკო გურამიშვილი, რომელსაც ჯერჯერობით 4 ქულა აქვს.

**გივი გაგუა**

## წარსულიდან

# გოლები, რომლებმაც ისტორია შექმნა

**ქართული ფეხბურთის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებები უმთავრესად სამ თარიღს უკავშირდება: 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში თბილისის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასი მოიპოვა — დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 2:1 დაამარცხა იენის „კალ ცაისი“.** 1964 წლის 18 ნოემბერს ქართველმა ფეხბურთელებმა ტაშკენტში დამატებით დროში 4:1 სძლიეს მოსკოვის „ტორპედოს“ და პირველად დაიმსახურეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული; 1976 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ლუჟნიკების სტადიონზე დიდი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს ერევნის „არარატი“ და საბჭოთა კავშირის თასი დაისაკუთრეს. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლები, სწორედ, ამ მატჩებში გავიტანეთ.




ლეგენდარულმა ვიტალი დარასელიამ 1981 წელს „კარლ ცაისის“ კარში თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე XX საუკუნის ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი მოათავსა. მას კონკურენტი არ ჰყავს.

ჩემი აზრით, მეორე ადგილი იმავე „კარლ ცაისის“ კარში სახელგანთქმული ვლადიმერ გუცაევის მიერ გატანილი პირველ გოლს უნდა მივაკუთვნოთ, იმ ბურთს ხომ ამ მატჩში წონასწორობის აღსადგენად და გარდატეხის შესატანად დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა.

ახლა ტაშკენტში გადავინაცვლოთ და მოსკოვის „ტორპედოსთან“ 1964 წლის 18 ნოემბრის მატჩის დამატებითი დრო გავიხსენოთ. სტაჟიან გულშემატკივრებს, იმედია, მეხსიერებაში ჩარჩათ ილია დათუნაშვილის მიერ კუთხურიდან გატანილი გოლი, რომლითაც „დინამომ“ ანგარიში გაათანაბრა 1:1. ფაქტობრივად, აქედან დაიწყო გარდატეხა მატჩის მსვლელობაში.

მეოთხე ადგილზე მე, მაგალითად, იმავე მატჩში ილია დათუნაშვილის გატანილ მეორე გოლს დავაყენებდი, რომლითაც თბილისელები დაწინაურდნენ 2:1. სწორედ, ამ გოლმა გატეხა „ტორპედო“.

და ბოლოს ისიც ვთქვათ, ლეგენდარულმა დავით ყიფიანმა 1976 წლის საბჭოთა კავშირის თასის ფინალში როგორ აილო ერევნის „არარატის“ კარი თავური დარტყმით. ფაქტობრივად, ამ გოლმა განაპირობა თბილისელთა წარმატება ამ მატჩში — „დინამომ“ პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი.

**მერაბ კალანდაძე**

## ტრაგედია

# ის ებრაული ფეხბურთის ვარსკვლავი იყო



**მთელი ერთი კვირა იბრძოდნენ ექიმები ლეგენდარული ისრაელელი ფეხბურთელის აბი კოენის სიცოცხლის გადასარჩენად. 54 წლის კოენი 20 დეკემბერს თელ-ავივის ქუჩაზე მოტოციკლეტით შეეჯახა ავტომანქანას და თავის მძიმე ტრავმა მიიღო. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.**

კოენი იყო ერთ-ერთი პირველი ისრაელელი ფეხბურთელი, ევროპის პროფესიულ გუნდებში რომ თამაშობდა. მან, როგორც ცენტრალურმა დამცველმა, დიდ ფეხბურთში 18 წელი გაატარა. კარიერა 1974 წელს დაიწყო თელ-ავივის „მაქაბიში“. 1979 წელს ინგლისურ „ლივერპულში“ გადავიდა. გახდა ინგლისის ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის მფლობელი, ორი წლის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ გუნდში.

ისრაელის ნაკრებში ითამაშა 64 მატჩში, საიდანაც 33-ში მისი კაპიტანი იყო.

## ინტერნეტიდან

### დიდთოვლობის ბრალია

**მართალია ჩვენ თოვლი გვენატრება, მაგრამ ევროპასა და ამერიკაში დიდთოვლობაა, რამაც ბევრი რამ შეცვალა, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე სპორტშიც. მაგალითად, ინგლისის ჩემპიონატზე გადაიდო ბევრი დიდმნიშვნელოვანი საფეხბურთო მატჩი.**

გერმანულ გელზენკირჰენში კი თოვლმა ჩაანგრია სტადიონის Veltins Arena სახურავი, რის გამო, შესაძლოა, 2011 წლისთვის გადაიდოს ბიატლონში „საშობაო რბოლა“.

ვინაიდან ჩაინგრა თითქმის 1000 კვადრატულმეტრიანი სახურავი და ორგანიზატორები ვერ იძლევიან უსაფრთხოების გარანტიას, მაგრამ გერმანელებს უნდათ, რომ რბოლა მაინცდამაინც მათ ქვეყანაში ჩატარდეს, ამიტომ ისინი თხოულობენ მის გადატანას 26 მარტისთვის.






### ყველაზე მაღლა ახტა!

**ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა ხორვატეთის წლის საუკეთესო სპორტსმენის საპატიო წოდება ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა სიმაღლეში ხტომაში ბლანკა ვლისიჩმა. ეს 27 წლის ბლანკას ბრწყინვალე გამარჯვებაა.**

ვაჟთა შორის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს სამთო მოთხილამურე ივიცა კოსტელიჩი. მან 2010 წელს ვანკუვერში ორი მედალი მოიხვეჭა.

### მისი დიდი მიღწევა

2010 წლის Playmate გახდომა და „პლეიბოის“ შემაჯამებელი ნომრის ყდაზე მოხვედრა ავსტრალიელი მოდელის ლორენ ვიკერსის ყველაზე დიდი გამარჯვებაა მის კარიერაში. გრძელმა წაბლისფერმა თმამ, ლამაზმა თვალებმა და მისი ფოტოსურათების იდუმალებამ მას დიდი პოპულარობა მოუტანა.

ახლა ლორენას შესახებ იცის ქალის სილამაზის ყოველმა დამფასებელმა მსოფლიოში. თუმცა მიღწეულზე შეჩერებას 24 წლის ლამაზმანი არ აპირებს.

— ყველაფერს გააკეთებს, რათა მომავალ წელსაც მოიპოვოს დედოფლის ტიტული, ეს, ალბათ ძალზე ძნელია, მაგრამ მის მიერ მონადირებული ათასობით თაყვანისმცემელი მაინც აჰყვება თავის გულისთქმას და კვლავ ლორენ ვიკერსს მისცემს ხმას.



გვწერენ

# ეს კაცი მართლაც სასწაულებს ახდენს!


დომენტი გაგნიძე და თამაზ ბასლანძე

**ჩემი 60 წლის ძმა ანზორ ბასლანძე, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობს, ბედის უკუღმართობის გამო, ნაადრევად დაავადმყოფდა. დიაბეტმა სხვა მრავალი ორგანული დაავადება გამოიწვია და... ერთ დროს უძლიერესი და ულამაზესი ვაჟკაცი ფეხზე ძლივსღა დგას...**

ტელეფონით დავუკავშირდი ცნობილ მკურნალს დომენტი (ბიჭიკოძ გაგნიძეს და ჩემი ძმის დიაგნოზი გავაცანი. კეთილშობილმა თელაველმა ექიმმა მაშინვე მიპასუხა: თქვენ დევნილებს ბრძანდებით და უფასოდ გიმკურნალებთო... მართლაც, ბატონმა დომენტიმ თავისი უებარი წამლები უანგაროდ გადმომცა, მე კი ჩემს ძმას გავუგზავნე... ორ კვირაზე მეტია, რაც მკურნალობს და კარგი შედეგი აქვს. მჯერა, რომ ჩემი ძმა თანდათან გამოჯანმრთელდება. ეს კი სახალხო მკურნალის ბატონ დომენტი გაგნიძის დიდი დამსახურება იქნება.

გულწრფელი მადლობა, ბატონო დომენტი, სულითა და გულით გილოცავთ ახალ წელს!..

**თამაზ ბასლანძე**

ხსოვნა

# ზაურ ჭანტურია



ხანგძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მუშაკი და სპეციალისტი ზაურ გიორგის ძე ჭანტურია.

ზაურ ჭანტურია დაიბადა 1938 წლის 24 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფ. ძვ. აბაშაში. მამით ადრე დაობლებულმა, ბავშვობისა და სიჭაბუკის მძიმე წლების მიუხედავად, შეძლო თავისი შრომით, ცოდნითა და გამოცდილებით ღირსეული ადგილის დამკვიდრება საზოგადოებაში.

ქუთაისის ორწლიანი სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და მშენებელ-ინჟინრის დიპლომით დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს.

დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ზაურ ჭანტურიას აბაშის რაიონის წინსვლისა და კეთილდღეობის საქმეში. სხვადასხვა წლებში იგი მუშაობდა აბაშის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორად, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად, აბაშის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ, ცხაკაიას (ახლანდელი სენაკისძ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოში უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, თავმჯდომარის მოადგილედ, ქალაქ აბაშის საკრებულოს მდივნად, ამავე საკრებულოს თავმჯდომარედ, პარალელურად არჩეული იყო აბაშის რაიონული საკრებულოს სპიკერად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ.

არაერთგზის იყო არჩეული რაიონული და საქალაქო საბჭოს დეპუტატად, საკრებულოს წევრად.

ზაურ ჭანტურია იყო პრინციპული, სამართლიანი და კეთილსინდისიერი პიროვნება, მასზე მინდობილ ყველა საქმეს ასრულებდა უზადოდ და დიდი პასუხისმგებლობით.

სადაც კი იმუშავა და ილვაწა ზაურ ჭანტურიამ, ყველგან დაიმსახურა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა.

მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრებისა და ამხანაგების გულში, ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ზაურის სპეტაკი სული.

**მეგობრებისა და ამხანაგების ჯგუფი**

ჩვენი კარაბადინი

# ჩაი ციფრებსა და ფაქტებში

**ჩაი სტიმულს აძლევს ღვიძლისა და ელენთის მუშაობას, ხელს უწყობს სისხლში ჰემოგლობინის დონის ამაღლებას.**

ჩინური სიბრძნე გვმოძღვრავს, რომ ჩაი ანგრევს წამლებს, ამიტომ ჩაით აბები არ უნდა დაილიოს.

მწვანე ჩაი აჩქარებს გაცვლით პროცესებს, ხელს უწყობს ცხიმოვანი დანალექების დაშლას.

პოლიფენოლები, რომლებიც მწვანე ჩაიშია, ტრადიციულ კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატებთან შეხამებაში რამდენჯერმე ზრდიან კიბოს უჯრედებთან ბრძოლის ეფექტიანობას.

მაგარი ჩაი არა მხოლოდ არ ამცირებს სიცხეს, არამედ, პირიქით, ზრდის სხეულის ტემპერატურას.

ჩაი ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში და ამუხრუჭებს არტერიების კედლებზე ბალთების დანალექს.

ნივთიერებანი, რომლებსაც შეიცავენ როგორც მწვანე, ისე შავი ჩაი, ებრძვიან ბაქტერიებს. ეს ბაქტერიები ანგრევენ ღრძილებისა და კბილების ქსოვილებს.



ჩაის კოფეინი უფრო მსუბუქ და მეტ ტონიზებას ახდენს, ვიდრე ყავა.

ჩაის ყველაზე მეტს ინგლისში, ირლანდიასა და ახალ ზელანდიაში სვამენ – 4 კილოგრამს წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე, რუსეთში, მაგალითად, – დაახლოებით 300 გრამს. საქართველოში ვარაუდობენ, რომ ეს მაჩვენებელი 1,5 კილოგრამის ფარგლებშია.

რუსეთში ჩაი 1638 წელს გაიცნეს, როდესაც მეფე მიხეილ თედორეს ძემ მონღოლეთის ხანისგან საჩუქრად ოთხი ფუთი გამხმარი ჩაის ფოთლები მიიღო.

საქართველოში ჩაის კალმები 1847 წელს შემოიტანეს და მათ კარგად იხარეს ოზურგეთის საცდელ სადგურში. 1864 წელს მ.ერისთავმა სრულიად რუსეთის გამოფენაზე გაიტანა ქართული ჩაი, რომელიც დამზადებული იყო ოზურგეთის მაზრის სოფელ გორაბერეჟოულში მიწის მცირე ნაკვეთზე მოყვანილი ჩაისგან. პირველი სამრეწველო პლანტაცია კი გააშენეს ჩაქვში.

**მწვანე და შავი ჩაის ღებულობენ ერთსა და იმავე ნედლეულისგან, მაგრამ შავი ჩაი მზეზე გამოჰყავთ და აფერმენტებენ (ამჟავებენ), მწვანეს კი ორთქლში ატარებენ ან ახმობენ.**

**მწვანე ჩაიში არის C, P, R, K, PP, A, D, E ვიტამინები და ფტორის, თუთიის, იოდის, სპილენძის, მარგანეცის, ფოსფორის, კალციუმის ელემენტები.**

## მკითხველი კურნავს მკითხველს

### თუ ზურგში ტკივილს იგრძნობთ

**ვმუშაობ ბუღალტრად, ჰოდა, გასაგებია, მთელი დღეები მიწევს ჯდომა ოფისში. ასეთი მუშაობის შედეგია წელის ოსტეოქონდროზი. ზურგში ტკივილებისგან თავის დაცვაში მეხმარება მიქსტურა ნიახურის ფესვებისგან.**



მის დასამზადებლად საჭიროა: 2 კილოგრამი ნიახური გავატაროთ ხორცსაკეპში და მოვათავსოთ სამლიტრიან ქილაში და ავურიოთ ერთ კილოგრამ თაფლში. მიქსტურა მოათავსეთ ბნელ ადგილას (მაგრამ არა მაცივარშიძ 2 კვირით. წამალი მიიღეთ თითო სუფრის კოვზი დღეში სამჯერ, ჭამის წინ.

აი კიდევ ერთი რეცეპტი – ალოეს და თაფლის კომპრესები. უნდა აიღოთ ალოეს რამდენიმე ფოთოლი, გარეცხოთ და გაატაროთ ხორცსაკეპში. ალოეს 50 გრამ წვენს უნდა დაუმატოთ 100 გრამი თაფლი და 150 გრამი არაყი, კარგად აურიოთ, ჩადოთ ქილაში და დაახუროთ სახურავი. მომზადებული შემადგენლობა შეიძლება შეინახოთ დიდხანს ბნელ ადგილას. კომპრესები უნდა გაიკეთოთ დაწოლის წინ, გარედან შემოიხვიეთ თბილი ნაჭერი.

**ირინა, ჩხოროწყუ**

### ტკბილი წამალი

**მინდა ჩემი რეცეპტი გაგიზიაროთ გაციების პროფილაქტიკისთვის. ეს საშუალება განსაკუთრებით მოეწონებათ თქვენს ბავშვებს, ვინაიდან, ნაყენების უმეტესობისგან განსხვავებით, ის ტკბილია!**

მის დასამზადებლად საჭიროა ავიღოთ 3 გრეიფრუტი, დავჭრათ პატარა ნაჭრებად კანთან ერთად. ვადუღოთ 20 წუთი 2 ლიტრ წყალში. ეს სასმელი უნდა დაილიოს დღის განმავლობაში, თუ წინა დღით გაცივდით ან შენიშნეთ გაციების ნიშნები. ნახარში უნდა დავლიოთ ცხელი, მას უნდა დავუმატოთ თაფლი ან შაქარი.

**თამარ ბერიძე, სიღნაღი**

### სალათი გასტრიტის წინააღმდეგ

**მაწუხებს ქრონიკული გასტრიტი. ადრე ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ვიტანჯებოდი გამწვავებისგან, მაგრამ ახლა უკვე მაქვს საუკეთესო საშუალება, რომ თავიდან ავიცილო ცუდი გუნება-განწყობილება. ამაში მეხმარება ჩვეულებრივი მწვანე სალათი. მე ის ფანჯრის რაფაზე მომყავს (მადლობა ღმერთს, ბაზარშიც არაა ძნელი მისი შოვნაძ და მისი ფოთლებისგან ვამზადებ ნაყენს. ეს წამალი უკვე რამდენიმე წელია თავიდან მაცილებს კუჭის პრობლემებს.**

ნაყენის მომზადება ძალიან ადვილია. 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული სალათის ფოთლები უნდა მოვხარშოთ ერთ ჭიქა წყალში, შემდეგ გავაჩეროთ 1-2 საათი და გავწუროთ. უნდა ვსვათ ნახევარი ჭიქა დღეში ორჯერ, ან მთელი ჭიქა ძილის წინ.

**ეთერ მალაციძე, გორი**

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

- ტრანსპორტის ამ სახეობის სიგრძემ შეიძლება 200 მეტრზე მეტს მიაღწიოს, თუმცა გინესის რეკორდების წიგნში სანქტ-პეტერბურგში არსებული ესკალატორი სულ სხვა მახასიათებლის გამო შევიდა – ეს არის ყველაზე მეტსაფეხურიანი ესკალატორი.
- ინგლისის მეფე ჩარლზ II-მ ფინანსური შეჭირვების გამო 1682 წელს ერთ-ერთი რელიგიური სექტის წარმომადგენელს, შეძლებულ უილიამ პენს მიჰყიდა ტყის მასივი ატლანტის ოკეანიდან დიდ ტბებამდე და ამ ტერიტორიას მფლობელის გვარის მიხედვით – პენსილვანია ეწოდა.
- ქალაქ ჰამბურგში 2600 ხიდია.

ინფორმაცია

## დააკავეს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის

ბელორუსი-პოლონეთის საზღვართან საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს 9 მოქალაქე დააკავეს.

როგორც ბელორუსული სააგენტო „ბელაპანი" იუწყება, ქართველების აყვანა გროდნოს რაიონის სასაზღვრო ზონაში, მესაზღვრეების მიერ, 25 დეკემბერს მოხდა.

დაკავებული ქართველებიდან ხუთს საიდენტიფიკაციო დოკუმენტები არ აღმოაჩნდა. საქართველოს მოქალაქეების განცხადებით, მათ ბელორუსის გავლით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სურდათ გადასვლა.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

ნომრის კარიკატურა





## დაიჯესტი

# რომ დავიძინო, თმა ამეჩეჩება, ამიტომ მესაზღვრესავით ვფხიზლობ!

**რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მკვლევარებს დღესაც არა აქვთ ერთიანი აზრი იმის თაობაზე, თუ რატომ დასჭირდა თავდაპირველად ადამიანს... სამოსელი! ისინი დღემდე კამათობენ იმის თაობაზე, თუ როგორ და რატომ გაჩნდა პირველი ტანსაცმელი.**

**ზოგიერთი მათგანის აზრით, ამის მიზეზი სიმორცხვე იყო, მეორენი ამის მიზეზად სიცივეს ასახელებენ, მესამენი კი არც პირველებს ეთანხმებიან, არც მეორეებს და ამბობენ, რომ სამოსელის გაჩენის მიზეზი სიცივე რომ ყოფილიყო, ცეცხლოვანი მიწის აბორიგენები, სადაც საკმაოდ ცივა, ისევე შიშვლები არ ივლიდნენ, როგორც ტროპიკების მკვიდრნი.**




ამ თემასთან დაკავშირებით, რამდენიმე საინტერესო ფაქტის მოტანა შეიძლება. XIX საუკუნეში ერთ-ერთი აფრიკული ტომის მამაკაცები წელზე წინ და უკან ქსოვილის ორ მოგრძო ნაჭერს ატარებდნენ, ქალები კი დედიშობილა დადიოდნენ, რომლებიც მწარედ დასცინოდნენ მეზობელი მაკოლოლების ტომის მამაკაცებს, რომლებიც წინ აკრულ ქსოვილის ნაჭერს ატარებდნენ – მათი აზრით, ეს „არაკაცური“ ჩაცმულობა იყო. როგორც ხედავთ, სირცხვილსა და „ჩაცმის მიღებულ წესებზე“ წარმოდგენები შეიძლება დიდად განსხვავებული იყოს.

XIX საუკუნეში მთელს ევროპაში, თეატრებსა და მეჯლისებზე ქალბატონების კაბებს იმხელა დეკოლტეები ჰქონდათ, რომ ჩვენს დროშიც კი, უკაცრავად და როსკიპიც კი, ამნაირი კაბით ყველგან ვერ გამოჩნდებოდა. მეტიც: პრუსიის ერთ-ერთმა მეფემ მეტად მკაცრი ბრძანებაც კი გამოსცა იმის თაობაზე, რომ ბერლინის ოპერის წარმოდგენებზე დაიშვებოდნენ მხოლოდ უკიდურესად გულამოღებულ კაბებში ჩაცმული ქალბატონები. ამ ბრძანების განუხრელად შესრულებას საგანგებო პირები ადევნებდნენ თვალყურს, ხოლო „გულჩვილი“ მეგარდეროზეები, მცირედი გასამრჯელოს ფასად, უბედურ მორიდებულ ქალიშვილებზე... მაკრატლებს აქირავებდნენ, რათა წინ „ზედმეტი“ ქსოვილი ამოეჭრათ. სამაგიეროდ ნებისმიერ მაშინდელ ლამაზმანს გული გაუსკდებოდა დღევანდელი მუხლის ზემოთ კაბა რომ ეხილა...

დროთა ცვლილებას მოყოლილ ტანსაცმლის ასეთ ტრანსფორმაციაზეა აგებული „ეროგენული ზონების ცვლის“ თეორია, რომელიც მოდის ცვლილებას არა მარტო წმინდა წყლის ფსიქოლოგიური, არამედ ბიოლოგიური მიზეზებითაც კი ხსნის. მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესოა კიდევ ის, რომ ამას... ეკონომიკური მიზეზიც გააჩნია! კირკიტა ინგლისელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კაბების სიგრძე პირდაპირაა დამოკიდებული... ეკონომიკურ კონიუნქტურაზე: როცა ეს უკანასკნელი მაღლა იწევს, ქვედაბოლოები მოკლდება, ხოლო როცა ეცემა, ისინი გრძელდება.

რაც შეეხება ტანსაცმლის გაჩენის მესამე მიზეზს, ვარაუდობენ, რომ იგი... სამკაულებიდან იღებს სათავეს. საქმე ის არის, რომ დედამიწაზე მრავალი ტომი და ერი იყო, რომელსაც ტანსაცმელს ან საერთოდ არ ატარებდა, და მხოლოდ „ლეღვის ფოთლით“ შემოიფარგლებოდა, სამაგიეროდ ერთი თუნდაც მცირე ეთნიკური ჯგუფიც კი არ ყოფილა, რომელსაც სამკაულები არ ეტარებინოს. მაგალითად, ახალი გვინეის პაპუასები თმის ვარცხნილობას 10-12 საათს, ზოგჯერ მეტ დროსაც კი ანდომებდნენ და იმისათვის, რომ თმა არ აწეწოდათ, თვალს ძილს მანამდე არ აკარებდნენ, ვიდრე ფეხზე დგომა, ან ჯდომა მაინც შეეძლოთ...

---



## ვისაც დედოფალი უყვარს...

**30-იანი წლების მიწურულს ინგლისის რამდენიმე გაზეთში ამ შინაარსის განცხადება გამოქვეყნდა: „კარის მხატვრის მიერ დახატულ დედოფლის პორტრეტს ნებისმიერ მსურველს გავუგზავნი, ვინც ორ პენსს გამომიგზავნის“.** საყვარელი დედოფლის პორტრეტის ორ პენსად (მუქთად!) შეძენის მრავალი მსურველი გამოჩნდა, გონებამახვილი თაღლითი კი, რათა კანონის წინაშე სუფთა დარჩენილიყო, ყოველი ორი პენსის გამომგზავნს დედოფლისგამოსახულებიან... ნახევარპენსიან საფოსტო მარკას უგზავნიდა: გვირგვინოსნის პორტრეტი კი მართლაც კარის მხატვრის მიერ იყო შესრულებული.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7581 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3128 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7251 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7232 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | -1 – +12 |
| ქუთაისი. | +8 – +18 |
| ბათუმი. | +7 – +18 |
| ზუგდიდი. | +3 – +18 |
| თელავი. | +1 – +12 |

## ანეკდოტები

რუსეთის ფედერაციის მთავრობის სხდომაზე მიიღეს ქვეყანაში ხალხთა მეგობრობის საბჭოური ტრადიციების აღდგენის გადაწყვეტილება. ისინი, ვინც ცუდად იმეგობრებენ, ძველი, საბჭოური ტრადიციის მიხედვით, სიფათში მესანგრის ნიჩაბს მიიღებენ.



* * *

– ჩვენი საიტი გუშინ 54 კაცმა დაათვალიერა.

– მაგრამ ჩვენს ფირმაში ხომ 55 თანამშრომელია – რომელმა ნაძირალამ დაგვიკიდა ფეხებზე?!

* * *

ტელევიზიაში ახლა ყველაზე პოზიტიურია ეროტიკული არხი – არავითარი აფეთქებები, არანაირი მკვლელობები, ყველას ერთმანეთი უყვარს...

* * *

მეცნიერებმა აღიარეს, რომ გლობალური დათბობის შესახებ მათი თეორია მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. ახალი თეორიის შესაბამისად, გლობალური დათბობა დგება ზაფხულობით. ზამთრობით კი გლობალური გამყინვარებაა.

## დღის კალენდარი

### 30 დეკემბერი

**ხსენება წინასწარმეტყველისა დანიელისა და სამთა ყრმათა: ანანიასი, აზარიასი და მისაილისა (600 წ. ქრისტეს შობამდე); ღირსისა დანიელ აღმსარებლისა, ბრობაში სტეფანესი (Xს.**



ამოდის 07.28
ჩადის 16.39



ამოდის 02.20
ჩადის 15.31

### დაიბადნენ:

**39 – ტიტუსი,** რომის იმპერატორი, ააშენა კოლიზეუმი.

**1852 – იონა მეუნარგია,** მწერალი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1919 წელს.

**1865 – ჯოზეფ კიპლინგი,** ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1936 წელს.

**1904 – დმიტრი კაბალევსკი,** კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1987 წელს.

**1908 – ზინოვი დუნაევსკი,** საბჭოთა კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1982 წელს.

**1918 – გიორგი მელიქიშვილი,** ისტორიკოსი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 2002 წელს.

**1922 – ავთანდილ (ბასაძ ღოღობერიძე,** ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ კაპიტანი, გარდაიცვალა 1980 წელს.

**1942 – ვლადიმირ ბუკოვსკი,** მწერალი, დისიდენტი.

### გარდაიცვალნენ:

**1691 – რობერტ ბოილი,** ირლანდიელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი.

**1863 – ალექსანდრ მურავიოვი,** დეკაბრისტი.

**1916 – გრიგორი რასპუტინი,** რევოლუციამდელი რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა 1864 წელს.

**1944 – რომენ როლანი,** ფრანგი მწერალი, დაიბადა 1866 წელს.

**1987 – ჯეიმს ბოლდუინი,** ამერიკელი მწერალი, დაიბადა 1924 წელს.

### მოვლენები:

**1547** – ივანე IV-მ (მრისხანემძ რუსეთის მეფის ტიტული მიიღო.

**1869** – პეტერბურგში გამოვიდა პოპულარულ ჟურნალ „ნივას“ პირველი ნომერი.

**1887** – პეტერბურგში გაიხსნა პუშკინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა.

**1922** – საბჭოების პირველმა საკავშირო ყრილობამ მიიღო დეკლარაცია საბჭოთა კავშირის (სსრკძ შექმნის შესახებ (კონფედერაციის სახით, რომელშიც შედიოდნენ რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებიძ. მოსკოვი აირჩიეს სსრკ-ს დედაქალაქად.

**1946** – გაეროს ატომური ენერგიის კომისიამ მოიწონა აშშ გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ამ დარგზე კონტროლის დაწესებას.

**1947** – კომუნისტთა ძალდატანებით რუმინეთის მეფე მიხაიმ უარი თქვა ტახტზე სახალხო რესპუბლიკის სასარგებლოდ.

**1949** – საფრანგეთმა ვიეტნამს სუვერენიტეტი მიანიჭა.

**1992** – ბრაზილიის გადამდგარ პრეზიდენტ ფერნანდო და მელუს კორუფციაში მონაწილეობისათვის აეკრძალა ოფიციალური თანამდებობის დაკავება 8 წლის განმავლობაში.

**1991** – დაიშალა საბჭოთა კავშირი.

**მელიანიუსი**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.